პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშრომთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 6 აგვისტო, 1948 წ. № 155 (8199). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვა დუნაის კონფერენციაზე ბელგრადში 1948 წლის 3 და 4 აგვისტოს (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

ე. ხუნდაძე — რაციონალი და ფიგნეზე დამოუკიდებლად მოგზაურავენ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდი

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანების წარმატებით გადაჭრა ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ გაძლიერებას, საბჭოთა საზოგადოების მშენებელთა, პირველ რიგში კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის შეუნელებელ ზრუნვას. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, რევოლუციური თეორიის დაუფლების ძირითად მეთოდს წოვნაზე დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს და პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანაა სისტემატურად იზრუნონ ამ მეთოდის მტკიცედ დანერგვისათვის, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ კომუნისტების თვითგანვითარების საქმეს, განუვითარონ მათ ზიგნენი დამოუკიდებლად მუშაობის გემოვნება, ცოდნის დაფუძნებისაკენ შეუნელებელი სწრაფვა.

აღსანიშნავია, რომ პარტიული ორგანიზაციები ამ ბოლო ხანებში მეტ ყურადღებას აქცევენ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის საქმეს, გაძლიერდა დახმარება და კონტროლი კომუნისტებისადმი, კერძოდ თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისადმი. ეწყობა ლექციები, მოხსენებები პარტიის ისტორიის, თეორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. მრავალ პარტიულ ორგანიზაციაში შეიქმნა კონსულტანტთა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ეხმარებიან თეორიის შემსწავლელ ამხანაგებს. კომუნისტებმაც მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას, შესაძლებელად გიჩარდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვი. შეიძლება დავასახელეთ მრავალი პარტიული ორგანიზაცია, სადაც წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას სერიოზული ყურადღება ექცევა, და კომუნისტებიც პარტიული ორგანიზაციების მხრივ დახმარებისა და კონტროლის გაძლიერების შედეგად წარმატებით ეუფლებიან თეორიას.

მიუხედავად ამისა, მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის საქმეში, კერძოდ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის საქმეში ორის ამბავი სერიოზული ნაკლი. პირველ რიგში უნდა ითქვას ფორმალიზმის შესახებ. ცოტა როდია ისეთი პარტიული ორგანიზაცია, სადაც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვში ისეთი ამხანაგები იფერებიან, რომელთაც არ შესწავთ ამის უნარი. ისეთნაც არიან, რომელთაც საამისო მომზადება და უნარი აქვთ, მაგრამ ამის გამო, რომ თავის ანაბარად არიან მიტოვებული და პარტიული ორგანიზაციების მხრივ არავითარ დახმარებასა და კონტროლს არ გრძნობენ, სრულიად არ მუშაობენ თავის თავზე. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია წერილი დედაქალაქის ლენინის რაიონში ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის შესასწავლად დამოუკიდებლად მუშაობის საკითხზე. პარტიის ლენინის რაიონის და რაიონის მოწინავე საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები მეირე მუშაობის როი ეწერეთან კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის, მაგრამ ამ საქმეში მაინც არის ნაკლოვანებანი. რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საჭირო ყურადღებას არ უთმობს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი კონტროლს და დახმარებას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბეკი კომუნისტი, მათ შორის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკიც, არ მუშაობს თავის თავზე. ეს ითქმის, მაგალითად, 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაზე. აქ ბევრი კომუნისტი არ მუშაობს თეორიის დასაუფლებლად. მათ შორის არის საწარმოო გახყოფილების გამგე ამხ. კილეიმეი, რომელიც თავს „გადატვირთვის“ მომზიზებით იმართლებს. ასეთივე მდგომარეობაა № 4 პერის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში. აქ პარტიული ორგანიზაციის მდივანს მოადგილე ამხ. როსტომოვი თვითონ არ მუშაობს ლენინზმის დასაუფლებლად და სხვასრას მოსთხოოვს. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საორთქლმავლო სამსახურის სათბობი განყოფილების უფროსი ამხ. ლეკავა დიდი ხანია წასულობს პარტიის ისტორიას, მაგრამ დღემდე მეორე თავს არ გასცილებია. ამავე სამსახურის უფროსი ინჟინერი ამხ. თეგზაძე გაზეთებსაც არ კითხულობს. ენგურის ქაღალდის კომბინატში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი ნაკლებად გრძნობენ პარტიბიოს დახმარებას, მეტწილად თავის ანაბარად არიან მიტოვებულნი. ამით უნდა აიხსნას, რომ ბევრი კომუნისტი სრულიად არაფერს აკეთებს საკუთარი იდეური დონის ასამაღლებლად. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლას საჭირო ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციაში. რაიონში არიან ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები, რომლებიც გაზეთებსაც თვითოდ კითხულობენ. რაღა გასაკვირველია, რომ ამ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობა ჩაბორნენილი იყოს.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა გადაჭერით გაანალიზონ დახმარება და კონტროლი წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი. უპირველეს ყოვლისა, ბოლო უნდა მოეცალოთ ფორმალიზმს ამ საქმეში. კომუნისტის მომზადების დონის, მისი უნარისა და შესაძლებლობის ხარისხი უნდა განისაზღვროს სწავლების ამა თუ იმ ფორმაში მისი ჩაბმა. ეს მით უმეტეს აუცილებელია, როცა საქმე ეხება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად უნდა მოაწყონ ლექციები, მოხსენებები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად. ამასთან სპეციალურ ყურადღება მიექცეს ლექციების თეორიულ დონეს. ლექცია, რა თემაზეც უნდა მოეწყოს, მაღალი ეიდეური, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს, ეხმარებოდეს კომუნისტებს პარტიის პოლიტიკის, ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების ღრმად გაგებაში. მეტი რაოდენობით უნდა მოეწყოს ლექციები საბჭოთა პატრიოტიზმის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. მეოცე პრაპაგანდისტიული მუშაობა უნდა აატარებლის მებრძოლ პარტიულ ხასიათს. აუცილებელია რევოლუციური თეორიის დაუფლებადად შესწავლის საქმეში კომუნისტებს პირველ რიგში მაგალითს უჩვენებენენ პარტიული აქტივი. ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა სისტემატურ, თანმიმდევრულ ხასიათს უნდა ატარებდეს. შეიძლებელია კამპანიერობა ამ საქმეში. საჭიროა მოუთმ გვახსოვდეს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენი წინსვლის, ჩვენი გამარჯვების ძმლავრი იარაღია და მისი დაუფლება ახალი სტალინური ხუთწლეულით დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის აუცილებელი პირობაა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

დმიტრი მიხეილის-ძე კოსარიკისა და ათანასე ლუკას-ძე მალიარის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ტურანული მწერალი დმიტრი მიხეილის-ძე **კოსარიკი**—ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დაეთი გურამიშვილის საფლავის ადგილის გამორკვევისათვის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი მასალების დაშვაზეებისათვის;

ტურანიის სსრ ქალაქ მირგოროოდის მცხოვრები ათანასე ლუკას-ძე **მალიარი**—დაეთი გურამიშვილის საფლავის ადგილის გამორკვევისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ენგანაშვილი

1948 წ. 28 ივლისი. ქ. თბილისი.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებანი ლაზიურ ენაზე

რიბა, 3 აგვისტო. (საკდესი). ლაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ, ლაზეურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა II ტომი და ი. ბ. სტალინის თხზულებათა VII ტომი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა VII ტომი გამოცემულია 50 ათასი ტირაჟით.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია ჭაჭიკურ ენაზე

სტალინაბადი, 3 აგვისტო. (საკდესი). ტაჯიკეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ტაჯიკურ ენაზე გამოსცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია.

გამოცემის ტირაჟი 25.000 ცალი.

ჩვენს რესპუბლიკაში



მაუდ-ყამეულური ფაბრიკა „სახკოთა ხალართველოს“ კამეულური საამქროს მოწინავე მრთველი ეფრო თავმაჯიკ სარეთან ზანქანა ვატერზე ინარეულს ნორმას 120-130 პროცენტით.

ფოტო რ. ალოფოფოლისა

ᲬᲚᲘᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს მოელი რიგმა მტლებმა წელს ათასობით ჰექტარი მიწა დაამშვავეს. მარტო ტამიშის მტლ-ის მიერ ხანდ ხენაზე გადაყვანით დამუშავებულია 10.373 ჰექტარი მიწის ფართობი. ბეგრგან ვადამდე გაანალდეს ვალდებულებანი.

ლანჩხუთის მტლ-ში წლიური გეგმა 137,8 პროცენტით არის შესრულებული, ამაშის მტლ-ში — 123,4 პროცენტით, ოჩამჩირის — 111,1, მახარაძის— 105,9, ტაბიშაულა და ზუგდიდის—103,7, ქუთაისის — 101,1 ფოლიროფშის — 100,1, ფუდაუთის მტლ-ში—100 პროცენტით. აღმოსავლეთ საქართველოს მტლ-ებიდან ყველაზე წინ არის თელეთის მტლ-ი, რომელსაც წლიური გეგმა 81 პროცენტით აქეს შესრულებული.

ᲬᲚᲘᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ—107 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ

ᲒᲝᲜᲘ (საკ. კორ.) სამტრესტის გონის სპირტსახდელი ქარხნის კოლექტივმა დაამთავრა 1948 წლის სპირტის გამოხდის სეზონი და წლიური გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. ამასთან ქარხანაში მომუშრნეობის რეკორმს მტკიცედ განხორციელებით შესძლეს 179 ტონა საწვავის და 8 ტონა ნედლეულის დაზოგვა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად ქარხნის კოლექტივმა მიიღო 254.400 მანეთი დაგროვება.

ამ წარმატებათა მიღწევაში თავი ისახელეს ცვლის უფროსებმა ი. კვირიკაშვილმა, კ. ციცქარელმა, გ. ფხიკიძემ და მოწინავე სტახანოველებმა ფ. ნოხარიძ, გ. ყაფლანიშვილმა და თ. ხიბლაშვილმა.

ქარხნის კოლექტივი უკვე შეუდგა მზადება ახალი სეზონისათვის.

ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲜᲐᲠᲡᲚᲘ

ჭიათურის ერთი საუკუნის ისტორია აქვს. ისტორიის თვალთახედვით ეგი როდი ხანდაზმული ქალაქი, ადრინდ სხვა მხრივ მარგანეცის ქალაქის წარსული უსათუოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ჭიათურის მარგანეცის აღმოჩენა და მისი საქეეველოდ გახმაურება დაკავშირებულია ჩვენს სასიკეთოდ ბოიტ აკაკიაც სახელთან. ჭიათურაში უმეშავნია ჩვენი ქვეყნის ბეერ სახელმწიფო მოღვაწეს, ფერალს, ფსახობს, მაზწალებელს...

აუცილებლად საყურადღებოა ჭიათურის რეკოლუციური წარსული. საკმარისია ითქვას, რომ პირველი რეკოლუციის გარიჯრაზე ჭიათურის მუშებს ხელმძღვანელობდა და რეკოლუციური ხელისუფლებიან აწრობიდა დიდი ტალანი. ბრძენი ბელადის სალენინის დაკავშირებული ჭიათურის რეკოლუციური წარსულის ბრწყინვალე ფურცლები. არც შემდეგ პერიოდზე ამ ყოფილი ჭიათურის ისტორია ინტერესს მოკლებული.

მშობლიური ქალაქის ისტორიის შესწავლა აუცილებლად საჭირო და გადაუდებელი საქმეა, ეს უფრო მეტად ახალგაზრდობას მოეთხოვება. ამასთან დაკავშირებით უდავოდ კარგი თაოსნობა გამოიჩინა კომკავშირის ჭიათურის ქალაქკომმა. ამ დღეებში სახელმწიფო თეატრში გაიმართა მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდობის კრება. ამხ. ს. ვაროფოსაძემ ახალგაზრდებისათვის წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ჭიათურის ისტორიულ-რეკოლუციური წარსული“. საღამო მხატვრული განყოფილებით დაირულდა.

(„კომუნისტის“ კორ.).



ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის ახალი სამსხმელო საამქროს ოფუშავლები. მიმდინარე წელს. ხელოვნები: სამსხმელო საამქროს მუშებელობის საერთო ხედი.

ფოტო ბ. ლუდენოსი

ᲗᲑᲝᲛᲐᲕᲪᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲐᲗᲘᲗᲘᲡᲔᲑᲐ

სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალთაგანსარემონტო ქარხნის სალოკომავალთ საამქროს ინჟინერ-ტექნიკოსებმა, ადგილობრივი მოწინავეთა ტალახოოელებმა დახმარებით, წარმატებით ითვისეს თბილისელი — ამიერკავკასიის რკინიგზაზე წევის ამ ახალი ტექნიკური საშუალების საკარნო რემონტი. თბილისელ რემონტისათვის საჭირო საეეციალური ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც გაიმართება ამ ეკეთილ ლოკომოტივსარემონტო ქარხანაში.

ამასთან დაკავშირებით, რომ სამტრედიაოსეთს უნანზე გაძლიერებულ იქნა თბილისელთ წევა, აუცილებელი გახდა თბილისელის საკარხნო რემონტის მოწესრიგება ოვმაილ ლოკომოტივსარემონტო ქარხნის ამეშავებამდე. ეს დიდად საჭირო საქმე—თბილისელი საკარხნო რემონტის ათვისება ოკისრეს სალოკომავალთ საამქროს მოწინავე ადამიანებმა (საამქროს უფროსი ა. ძაანარაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ეკოლოგა). საამქროში მოაწყეს დიზელის გაგაყოფილება, ადგილობრივ დიდ ამზადეს საკრო ტექნიკური მოწყობილობა და ხელსაწყოები, ჩამოიყალიბეს ფიზიკის შემსწავლელი წრე, სადაც ლექციებს წაიკითხავად მოიწვევენ მაღალკვალიფიკაციის ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მუშებისა გაეზიარეს თბილისელის სარემონტო ქარხნებში გამოცდილების მისაღებად.

ამეამად სტალინის სახელობის ქარხნის სალოკომავლო საამქროს კოლექტივი წარმატებით ამორცეულეს თბილისელის საკარხნო რემონტს. 1 ოვეკისტისათვის საამქროდან უკვე გამოვიდა საკარხნო წესით შეკეთებული მეტეორ თბილისელი.

ᲛᲝᲜᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲒᲝᲑᲔᲑᲘ

წელს საქართველოს საბჭოთა მეურნეობებმა გეგმით 8.210 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოაკრიფონ. აქედან ამეამად უკვე მოკრეფილია 5.412 ტონაზე მეტი. მთელმა რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა სამი თვის დაკეეეულა წარმატებით გაანალდეს.

ნატანების საბჭოთა მეურნეობაში 3 თვის გეგმა 145 პროცენტით არის შესრულებული, ნასაყარალის მეურნეობაში — 131,2 პროცენტით. მოწინავეთა რიგებში არიან ავრეთვე სალიბარის, მოქვის, გონიოს, ცეცხლაურის, ჩაქვის, ლაითურის, დიდიქოფის, ხეცერის, ნარაზენის, წალენჯიხის და ანიგვარის საბჭოთა მეურნეობები.

ᲡᲐᲥᲝᲛᲔᲣᲠᲜᲝᲔ ᲛᲘᲜᲘᲫᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ

წელს სსტონეთის მტლ-მა საკოლმეურნეო მინდვრებში მოაწყო რადიოწყერტები მიმბები და დადამცემი ხაზებით. ეს დიდად უწყობს ხელს სამეურნეოს ტრაქტორს ან კომბაინს რაიმე ნაწილი გაუფუჭდა, ამის შესახებ ბრიგადირი რადიოთი აცნობებს მტლ-ის დირექციას. რომელიც სწრაფად ვზავნის ადგილზე მომრავი სახელოსნოს მუშაკებს და ამით საგრძნობლად ამცირებენ მანქანის მოცდენის მეეთხეველებს.

ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲐᲪᲘᲐ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲛᲔᲯᲔᲑᲘᲗ

ᲒᲝᲜᲘ, (საკ. კორ.). გორის საყინულეოდ ქარხანაში იელოსნა ახალი საწარმოო წარმატება მოიპოვეს—თვის ვამპალეთაში გამოუშვეს 250.000 ცალ ბაღალბარასხოვანი კონსერვი და ამით თვიური გეგმა 31 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს.

წარმატებები აქვთ გორელ მეკონსერვეებს ასორტიმენტის მიხედვითაც. მურაბის გამოშვების თვიური დავალება შორეულეთია 15 პროცენტის, კომპოტების გამოშვებისა — 22 პროცენტია და ბოსტნეეულის კონსერვეებისა — 48 პროცენტის გადაძეტებით. ქარხანაში წელს დაამზადეს 10.000 ქილა ბეეფარეული წიწაკის კონსერვი, რაც ეეგმით არ იყო გათვალისწინებული.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲝᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ტურანელი მწერალი დმიტრი მიხეილის-ძე **კოსარიკი**—ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დაეთი გურამიშვილის საფლავის ადგილის გამორკვევისათვის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი მასალების დაშვაზეებისათვის;

ტურანიის სსრ ქალაქ მირგოროოდის მცხოვრები ათანასე ლუკას-ძე **მალიარი**—დაეთი გურამიშვილის საფლავის ადგილის გამორკვევისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ენგანაშვილი

1948 წ. 28 ივლისი. ქ. თბილისი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲥᲘ

1.500-ზე მეტი კაცი შეიკრიბა 3 აგვისტოს სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის კულტურის სასახლის დარბაზში. აქ შეუდგა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სეესხის მოგებათა პირველი ტირაჟი.

გათამაშდა 228 მოგება თვითეული 50 ათასი მანეთისა, 456—თვითეული 25 ათასს მანეთისა, 1.140—თვითეული 10 ათასი მანეთისა და სხვები — სულ გათამაშდა 524.719.200 მანეთის 1.966.500 მოგება. (საკდესი).

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, (საკდესი). კიროვის სახელობის საამწეო ტრანსპორტის მოწყობილობის ქარხანაში დამთავრდა ჩრდილოეთის ოკეანისა�e კომბაინის გამოცდა. მანქანა იღებს მარცვლეულ კულტურების მოსავლის, ლეწავს, ახმობს, თუ ეს საჭიროა, და ტომრებში ჩყრის.

კომბაინი გაიგზავნა სუეიფის საცდელ სასელექციო სადგურში ლენინგრადის ახლოს. მას მოსავლის ასაღებად გაამზადებენ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲨᲛᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲮᲔᲑᲜᲘᲗᲘ

4 აგვისტოს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე შეხვდა მეორეგი მატჩი სსრ კავშირის 1948 წლის პირველობაზე. მოსკოველ „ალიოლია სოფეტოოოს“ და თბილელის „დინამოს“ გუნდებს შორის. თამაშის პირველი ნახევარი ეკუთვნოდა მოსკოველთა უპირატესობით მიმეფინარეობდა, მაგრამ მან ვერ შესძლეს ბურთის ეკეთნა. მეორე ნახევარში თბილელებმა ბეღლი ეგდეს ინიციატივა. მე-14 წუთს ე. ალექსეევმან საკარეთ ფარეტეთ ბურთი ბეღლი ჩააგდო. თამაშის ბოლოსაკენ ალარ შეცვლილა და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0.

* * *

გეშნი მოსკოეში ერთანაკის შეხვედნენ გამთამაშეების ლიდერი „სპარტაკი“ და მოსკოველი „ტორპედო“. მატჩი მოიგო „ტორპედომ“ გუნდმა ანგარიშით 1:0.

* * *

2 აგვისტოს მოსკოეში შესდგა 2 მატჩი. მოსკოველ „ტორპედოს“ მოუგო მოსკოველ „დინამოს“ ანგარიშით 5:1. „სპარტაკოს“ და ალტალანურ „ტორპედოს“ თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ამავე დღეს, ლენინგრადში ადგილობრივმა „დინამომ“ მოუგო ალეინიელს „ალოლია სოფეტოოს“ ანგარიშით 3:0. 3 ოგვისტოს ლენინგრადის „ზენიტმა“ მოიგო მოსკოველ „დინამოს“ გუნდი. მოსკოველებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:1.

4 აგვისტოს კიევში ადგილობრივმა „დინამო“ მოგი ანგარიშით 5:1 მოუგო მოსკოველს 1 სამეგზარსაპაერო ძალების გუნდს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვა დუნაის კონფერენციაზე ბელგრადში 1948 წლის 3 აგვისტოს

უნდა ვაღიარო, რომ დიდი კმაყოფილებით მოვისმინე ბ-ნ პიკის სიტყვა და განსაკუთრებით მისი ის ადგილები, სადაც მან უღალატა ინგლისური სიდინჯის ტრადიციას და ასე ცხარედ, აღელვებულად და, მე ვიტყოდი, გაბრაზებითაც კი ილაპარაკა. ბ-ნმა პიკმა დააყენა მთელი რიგი ფრიად საინტერესო საკითხები, მაგრამ არ დავფარავ, რომ, როგორც მე მგონია, ეს საკითხები მნიშვნელოვანწილად არ შეეხება იმ მუშაობის არსს, რისთვისაც ჩვენ აქ შევკრებით სხვადასხვა დუნაისპირა ქვეყნიდან. გარდა ამისა, ბ-ნმა პიკმა ძალიან დაწვრილებით განმარტა ის ფაქტი, რომ დღეს მან შესძლო გამოსულიყო პასუხით იმ სიტყვასა თუ იმ შენიშვნებზე, რომლებიც მე სამი დღის წინათ გავაკეთე. რასაკვირველია, გამოსვლისათვის დროს ამ კონფერენციის თვითეული მონაწილე ირჩევს. მართალია, იგი ამასთან შებოჭილია პროცედურის წესებით. ერთხელ კიდევ უნდა ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, პროცედურის წესების მე-17 მუხლი დარღვეულ იქნა, მაგრამ დარღვეულ იქნა ჩვენი თანხმობით, გამონაკლისის სახით. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მომავალში ვფიქრობ მიზანშეწონილი არ იქნება ასეთი გადახვევები, ვინაიდან ეს აიძულებს ჩვენს კონფერენციას ერთი ადგილი სტკეპნოს, და ეს მით უმეტეს, რომ ის საკითხები, რომლებიც დღეს აქ ბ-ნმა პიკმა დააყენა, ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწევენ წინ კონფერენციას. უკვე ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი დილის სხდომა, სამწუხაროდ, ნაყოფიერი არ იქნება. სამწუხაროდ მეც პასუხისმგებელი ვარ ამისათვის იმიტომ, რომ შაბათს რომ გავჩუმებულიყავი, დღეს ბ-ნი პიკი არ ილაპარაკებდა.

ბ-ნი პიკი ძალიან დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ მას შემდეგ, რაც მე ჩემი განცხადება გავაკეთე, სრულიადაც არ გასულა 72 საათი, არამედ გავიდა 42 საათი ან 48 საათი. თანახმა ვარ—ორმოცდაორია—42 იყოს; ორმოცდარვაა—48 იყოს. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ბ-ნმა პიკმა გზა და გზა სთქვა, რომ მე დავგმე იუგოსლავიის დელეგატი მისი შენიშვნის გამო მორალის შესახებ. მე მართლაც ვილაპარაკე მორალზე, მაგრამ ვილაპარაკე იმ აზრით, რომ იქ სადაც მოქმედებენ ერთგვარი ინტერესები, საჭირო არ იყო მორალის გახსენება, რაც იუგოსლავიის დელეგატმა, როგორც მე მგონია, უადგილოდ გაიხსენა. მე მხოლოდ აღვნიშნე მორალის გამოყენების უსარგებლობა ასეთ ვითარებაში. იქ, სადაც ინტერესები მოქმედებენ, მორალი სდუმს. რა ინტერესები? თქვენ მაიძულებთ, ბ-ნო პიკ, უფრო გულახდილი და ზუსტი ვიყო. მე ვიტყვი,—იქ, სადაც მოქმედებენ იმპერიალისტური ინტერესები, საჭირო არ არის მორალზე ლაპარაკი. თუ თქვენ ასეთი ფორმულა უფრო მოგწონთ, მზად ვარ მოგცეთ ასეთი ფორმულა.

ბ-ნმა პიკმა აქ დააყენა ულტიმატუმის საკითხი, რაზედაც მე ვილაპარაკე, მეფის ვალების საკითხი, რის გადახდაც არ სურდა საბჭოთა მთავრობას ოქტომბრის რევოლუციის დროიდან, გერმანიასთან მაშინდელი საბჭოთა მთავრობის მიერ დადებული ბრესტის ზავის საკითხი. და ბოლოს,—1921 წლის კონვენციის მე-7 მუხლის, მე-4 მუხლის, მე-8 მუხლის საკითხი, ამასთან ბ-ნი პიკი ამ უკანასკნელ ნაწილში ხაზს უსვამდა სწორედ იმის დიდ მნიშვნელობას, რომ ყურადღება მიექცეს მე-4 და მე-8 მუხლებს. ამას მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რატომ არ მიაქცია მან კიდევ ყურადღება 42-ე მუხლს? მე მსურს ყურადღება მივაქციო არა მარტო მე-4, მე-7, მე-8 მუხლებს, არამედ 42-ე მუხლსაც, ამ მუხლებთან ერთად. მაგრამ მე ამის გაკეთება შემიძლია მხოლოდ მაშინ, როცა ასე თუ ისე პასუხს გავცემ იმ კითხვებს, რომლებსაც ბ-ნი პიკი შეეხო თავისი გამოსვლის დასაწყისში.

1. ინგლისის ულტიმატუმისა და მეფის ვალების შესახებ

პირველი საკითხია ულტიმატუმის საკითხი: აქ ბ-ნმა პიკმა ირონიული ტონი აიღო. მან სთქვა: იქნებ საბჭოთა დელეგაციას ეშინია ინგლისის დელეგაციისაო? მან სთქვა—საიდან, რა საფუძველი მქონდა მე დამეყენებინა ულტიმატუმის საკითხი, როცა მას აქ არავითარი ულტიმატუმი არ წამოუყენებია. მოხარული ვარ, თუ ინგლისის დელეგატი ახლა უარს ამბობს იმ ულტიმატურ ტონზე, რომლითაც მან, თავის ფრანგ კოლეგასთან ერთად, დაიწყო ჩვენი კონფერენცია გახსნის პირველსავე დღეს. თუ საფრანგეთის დელეგატი მიბაძავს ინგლისის დელეგატს, რომ თავის მხრივ ახლა განაცხადოს, რომ, მას არავითარი ულტიმატუმი არ წამოუყენებია, მე ალბად შევძლებ აღვნიშნო, რომ ულტიმატუმის საკითხი შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს. მაგრამ როგორ გვიბრძანებთ, ბ-ნო ინგლისის დელეგატო, გავიგოთ თქვენი ის შენიშვნა, რის მოყვანის ნებას მივცემ ჩემს თავს გენერალური სამდივნოს სტენოგრამის მართალია არაოფიციალური ჩანაწერით. მე მომყავს ეს ადგილი: „შეერთებული სამეფოს წარმომადგენელი. ბ-ნო თავმჯდომარევ, მე მსურს მოკლედ გამოვთქვა აზრი საფრანგეთის დეკლარაციის საკითხზე, აგრეთვე რამდენიმე სიტყვა ვთქვა ავსტრიის მდგომარეობის საკითხზე. დეკლარაციის საკითხი აქ გაგვაცნო საფრანგეთის წარმომადგენელმა, მე შემიძლია მოკლედ გამოვთქვა შეერთებული სამეფოს დელეგაციის აზრი“. შემდეგ მოყვანილია ეს აზრი. „კონვენციის ყველა ხელისმომწერის უფლებას პატივი უნდა ეცეს“. რომელი კონვენციისა? 1921 წლის კონვენციისა. ამაში არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს. ვის უფლებებს? — კონვენციის ყველა ხელისმომწერისა.— ბ-ნი პიკი ამბობს—მე რომ მეთქვა ყველა—ვიშინსკი მართალი იქნებოდაო. თქვენ ეს სთქვით და არა ერთხელ. თქვენ ამის შემდეგ ასე სთქვით: „და მათი თანხმობა—ესე იგი კონვენციის ყველა ხელისმომწერის თანხმობა, — ამ კონვენციის შეწყვეტაზე წინ უნდა უძღოდეს ახალი კონვენციის დადგენას“ და შემდეგ: „ამიტომ თვით აქტი და მისი უფლებები და ვალდებულებანი რჩება მანამდე, სანამ ეს აქტი არ შესწყდება“. რომელ აქტზეა ლაპარაკი? ცნობილ აქტზე—ეს არის 1921 წლის კონვენცია. და კიდევ შემდეგ — თქვენ ამასთან იმოწმებთ მაკ-ნეირს და ამას შემდეგნაირად დაასკვნით: მაკ-ნეირი ამბობს „მანამდე, სანამ ყველა ქვეყნის თანამშრომლობას არ წარმოადგენს ავტორიტეტული ორგანო, რომელსაც რწმუნება ექნება შეიმუშაოს ასეთი დიპლომატიური აქტი, არსებობს საერთაშორისო სამართლის წესი, რომ დიპლომატიური აქტი, რომელიც არ ითვალისწინებს თავის შეწყვეტას, არ შეიძლება შეიცვალოს ყველა მონაწილის თანხმობის მიუღებლად და ძალაში რჩება“... ასეთია ინგლისის დელეგატის სიტყვის რუსული თარგმანის სტენოგრაფიული ჩანაწერი. ეს ტექსტი არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმაში, თუ რა ენით კეთდება ეს განცხადება, როგორც ის, რომ ეს განცხადება თავისი შინაარსით და თავისი არსით ულტიმატუმის ენას წარმოადგენს. „პატივი უნდა ეცეს“, „ძალაში რჩება“, „არ შეიძლება შეცვლილ იქნას“ და ასე შემდეგ — ეს ისეთი ენაა, რომელსაც მე ულტიმატუმის ენა ვუწოდე. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვეშინია ამ ულტიმატუმებისა. მე საჭიროდ არც კი მიმაჩნია ამ საკითხზე შეჩერება.

ახლა მეორე შენიშვნა. თქვენ აქ სთქვით, რომ საბჭოთა მთავრობამ უკვე ადრევე განაცხადა, რომ იგი თავს შებოჭილად არ სთვლის მეფის მთავრობის რაიმე ვალდებულებებით, და ამასთან დაკავშირებით სთქვით, რომ საბჭოთა მთავრობამ 1918 წელს ბრესტის ზავი დასდო გერმანიასთან. არ ვიცი რატომ დაგჭირდათ იმის გახსენება, რაც 30 წელზე მეტი ხნის წინათ მოხდა. ყოველ შემთხვევაში, თუ საქმე ასეთ მოგონებებს ეხება, საჭირო იყო საკმაო სიზუსტე გამოგეჩინათ ამ მოგონებებში და არ დაგემახინჯებინათ ისტორიული ფაქტები. მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა ბრესტის 1918 წლის ზავზე.

საბჭოთა მთავრობა ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე გამოვიდა პრინციპული პოზიციით ომის მიმართ. ბ-ნმა პიკმა ეს უნდა იცოდეს. ომისადმი ეს პრინციპული დამოკიდებულება გამოიხატა მთავრობის მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯებით და საზოგადოებრივი აქტებით. კერენსკისა და მილიუკოვის მთავრობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლოიდ ჯორჯის, კლემანსოს მთავრობებთან, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან. იგი ისეთ მჭიდრო კავშირში იყო, რომ არსებითად არ შეიძლებოდა მილიუკოვის საგარეო პოლიტიკის გარჩევა ლოიდ ჯორჯის საგარეო პოლიტიკისაგან. ეს პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ომი ეწარმოებინათ „საბოლოო გამარჯვებამდე“, ომი ეწარმოებინათ უკანასკნელ ...რუს ჯარისკაცამდე! ძალიან ხელსაყრელი და მოხერხებული იყო ლოზუნგი — ეწარმოებინათ ომი საბოლოო გამარჯვებამდე, უკანასკნელ რუს ჯარისკაცამდე. ამის საპასუხოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოაცხადა სხვა ლოზუნგი—„ძირს ომი! შესწყდეს ომი!“ „არც სეპარატული ზავი ვილჰელმთან, არც საიდუმლო ხელშეკრულებები ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებთან“. საბჭოთა მთავრობამ ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ზავი შესთავაზა ყველა მეომარ მხარეს. ამაზე გერმანელებმა უპასუხეს შეტევის გაგრძელებით, ხოლო ინგლისელებმა და ფრანგებმა, ვილსონის მფარველობით, დუმილით უპასუხეს. ომი გრძელდებოდა. იმპერიალისტური სახელმწიფოების ვარაუდი იმ დროს ის იყო, რომ ომს დაეუძლურებინა, სისხლით დაეცალა და გაეტეხა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. კერენსკისა და მილიუკოვის მთავრობა ყოველგვარ ზომებს ხმარობდა იმისათვის, რომ ხელი შეეწყო ამ საქმისათვის, იმიტომ რომ აქ ემთხვეოდა რუს მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესები ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტებისა და მილიტარისტების ინტერესებს. მაგრამ საბჭოთა რუსეთი მაშინ გამოვიდა ამ მდგომარეობიდან, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით მაშინ მოქმედებდა ტროცკისტული მეხუთე კოლონა, უცხოელ იმპერიალისტთა აგენტურა. საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით ჩვენ მოვახერხეთ ომიდან გამოსვლა, თუმცა ბრესტის ზავის, ამ მხეცური უსამართლო ზავის ფასად. ამან შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ქვეყანას მიეღო ის შესვენება, რომლის განმავლობაშიც მან ძალები მოიკრიბა და მოემზადა შემდგომი ბრძოლისათვის თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი არსებობის, თავისი სუვერენიტეტის, თავისი უფლებების დასაცავად, იმ მუშათა და გლეხთა უფლებების დასაცავად, რომლებმაც საკუთარ ხელში აიღეს სახელმწიფო ძალაუფლება რუსეთში. ეს, რასაკვირველია, ძალიან არ ესიამოვნებოდა არც კონტრრევოლუციას ჩვენი ქვეყნის შიგნით და არც რეაქციულ ძალებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, და ამას მოჰყვა მოვლენების მთელი შემდგომი განვითარება, საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ თოთხმეტი სახელმწიფოს ლაშქრობის ჩათვლით, რომლებსაც ჩერჩილი მეთაურობდა, ლაშქრობისა, რომელიც ასევე სამარცხვინოდ და სასირცხვილოდ ჩაიფუშა. ასეთ ვითარებაში ჩვენგან, რუსი მუშებისა და გლეხებისაგან, მოითხოვდნენ: გადაიხადეთ მეფის ვალებიო. განა თქვენ არ გახსოვთ, ბ-ნო პიკ, მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებითაც გენუაში მოწვეული იყო სპეციალური კონფერენცია იმისათვის, რომ განეხილა მეფის ვალების საკითხი, და განა თქვენ არ გახსოვთ, რომ საბჭოთა მთავრობა 1921 წელს დათანხმდა წასულიყო ამ კონფერენციაზე, რომ იგი დათანხმდა დაეწყო მოლაპარაკება იმ ვალდებულებათა მოწესრიგების შესახებ, რომლებიც მეფის მთავრობას ჰქონდა ნაკისრი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის წინაშე, თუ ანტანტა თავის მხრივ ვალდებულებას იკისრებდა მთლიანად შეეწყვიტა შეიარაღებული ინტერვენციის ყოველგვარი ცდა და დე-იურე ეცნო საბჭოთა მთავრობა? დათანხმდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენუის კონფერენცია ჩაიშალა, იმიტომ რომ საბჭოთა მთავრობა არ დაეთანხმა ულტიმატურ მოთხოვნებს, რომლებიც ამასთან მიმართული იყო ახალი საბჭოთა სახელმწიფოს, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის თვით არსებობის წინააღმდეგ. ინგლისის დელეგატმა დაამახინჯა ფაქტები, მან პრიმიტიულად დააყენა ეს საკითხი. ეს სწორი არ არის. ისტორია ნებას არ იძლევა ასე თავისუფლად მოეპყრათ მას.

2. დუნაის საკითხში ისტორიული ფაქტების დამახინჯების წინააღმდეგ

თქვენ, ბ-ნო პიკ, შეეხეთ ჩვენთვის უფრო მახლობელ საკითხს — სახელდობრ 1921 წლის კონვენციიდან საბჭოთა რუსეთის გარიცხვის საკითხს. თქვენ დააყენეთ საკითხი, რატომ არ ცდილობდა საბჭოთა რუსეთი შეერთებოდა ამ კონვენციასო. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ 1934 წელს საბჭოთა მთავრობამ სცადა შეერთებოდა ამ კონვენციას. 1934 წელს საბჭოთა მთავრობამ სცადა მიეღო ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთის თანხმობა, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ ევროპის დუნაის კომისიის წევრად საბჭოთა კავშირის შესვლის საკითხი. როგორი იყო საბჭოთა მთავრობის ამ ცდის შედეგი, რომ 1934 წელს შესულიყო ამ კომისიაში? ინგლისი დასჯერდა ფორმალურ პასუხს და არსებითად ამ წინადადებაზე არავითარი პასუხი არ გაუცია. საფრანგეთმა არ უპასუხა საბჭოთა მთავრობის ამ წინადადებაზე. რუმინეთი მაშინ ცდილობდა საერთოდ ევროპის დუნაის კომისიის ლიკვიდაციას. და ეს, შეიძლება ითქვას, სწორი იყო, ვინაიდან ამ კომისიამ სანაპირო სახელმწიფოების სუვერენული უფლებების უზურპაცია მოახდინა.

ამავე დროს გერმანია ენერგიულად ცდილობდა დუნაის კომისიაში შესვლას. მასთან ერთად ამ კომისიაში სურდათ მოხვედრა საბერძნეთსა და პოლონეთს. გერმანიას ენერგიულად უჭერდნენ მხარს, უმთავრესად, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები და იმას მიაღწიეს, რომ 1939 წელს რუმინეთსა, ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიას შორის დადებული ბუქარესტის შეთანხმებით გერმანია შეყვანილ იქნა ამ კომისიაში. ჰიტლერული გერმანიისათვის გამოინახა ადგილი ამ კომისიაში, საბჭოთა რუსეთისათვის კი ვერ გამოინახა. ამასობაში ჰიტლერი განმტკიცდა, დავაჟკაცდა; როგორც კარგად არის ცნობილი, მისი სახელმწიფოებრივი მანქანა, რომელსაც ხელს უწყობდნენ ამერიკული ოქროს სესხებით, განმტკიცდა და 1939 წელს გერმანია შევიდა ევროპის დუნაის კომისიაში ინგლისის, საფრანგეთის, რუმინეთის და იტალიის თანასწორი უფლებებით. ხოლო საბჭოთა კავშირი?—ჩვენ ახლა ინგლისის წარმომადგენელი გვეუბნება: საბჭოთა კავშირი არ ცდილა შესულიყო ამ კომისიაშიო. მაგრამ ეს სწორი არ არის.

თქვენ დაამახინჯეთ საკითხი საბჭოთა რუსეთის შესახებ ევროპის დუნაის კომისიასთან დაკავშირებით. თქვენ ფაქტები ისე არ წარმოადგინეთ, როგორც ისინი ნამდვილად იყო, ალბად იმიტომ, რომ ფართო საზოგადოებრივი აზრისათვის დაგემალათ, თუ როგორ „სცემთ პატივს“ „შეძენილ უფლებებს“. დიახ, რუსეთმა მოიპოვა უფლება დუნაიზე ჯერ კიდევ 1856 წელს და 1878 წელს. მაგრამ 1921 წელს, იმის გამო, რომ იგი მუშურ-გლეხური სახელმწიფო გახდა, საბჭოთა რუსეთი გახდა, თქვენ მას მოუსპეთ ეს უფლებები, უარი უთხარით ამაზე, ახლა კი ამბობთ, რომ საბჭოთა მთავრობა არ ცდილა შეერთებოდა 1921 წლის კონვენციასო.

3. ზოგიერთი თეორიული საკითხი

ახლა გადავდივარ საქმის იურიდიულ მხარეზე. ინგლისის დელეგაციის მტკიცებით გამოდის, რომ 1921 წლის კონვენცია არ დარღვეულა არც 1938 წლის შეთანხმებით, არც 1939 წლის შეთანხმებით. ამის დასამტკიცებლად იმოწმებენ 1921 წლის კონვენციის სხვადასხვა მუხლებს. დავიწყოთ მე-4 მუხლიდან. ჩვენ გვეუბნებიან, რომ 1921 წლის კონვენცია არის არა პლიურილატერალური, არამედ მულტილატერალური ხელშეკრულება, ესე იგი დახურული მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოსათვის, მხოლოდ ზოგიერთი პირობით (როგორიც არის ის ხელშეკრულებები, რომლებსაც პლურილატერალურს უწოდებენ) და ღიაა ყველა პირობაში, ან ყოველ შემთხვევაში, ისეთ მეორეხარისხოვან პირობებში, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ და ხელს ვერ შეუშლიან ამ კონვენციასთან შეერთებას. მაშ როგორი ხელშეკრულებაა 1921 წლის კონვენცია?

შევეცდები პასუხი გავცე ამ კითხვაზე და დავამტკიცო ამ პასუხის სისწორე.

1921 წლის კონვენცია არის პლურილატერალური ხელშეკრულება, ესე იგი ისეთი ხელშეკრულება, რომელთან შეერთებაც, თუმცა შეუძლიათ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც თავდაპირველად მონაწილეობა არ მიუღიათ ამ ხელშეკრულების ხელმოწერაში, მაგრამ ეს განპირობებულია გარკვეული მოთხოვნებით, და ამასთან გამართულებელი ხასიათის მოთხოვნებით. 1921 წლის კონვენციაში ასეთი გართულებული პირობები და მოთხოვნები არის. სად? მეოთხე მუხლში. მომყავს ეს მუხლი: „ევროპის თვითეული სახელმწიფო,—ნათქვამია ამ მუხლში, — რომელსაც მომავალში აღმოაჩნდება საკმაო კომერციული, საზღვაო და ევროპის ინტერესები დუნაის შესართავში, შესძლებს, მისი თხოვნით, მიიღოს წარმომადგენლობა კომისიაში (ესე იგი ევროპის დუნაის კომისიაში) ერთხმივი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნება კომისიაში წარმოდგენილი მთავრობების მიერ“.

განა ცხადი არ არის, თუ რაშია აქ საქმე? ჯერ ერთი იმაში, რომ საბჭოთა რუსეთს, 1921 წლის კონვენციას რომ შეერთებოდა და ამის საფუძველზე ევროპის დუნაის კომისიაში რომ შესულიყო, მეოთხე მუხლით უნდა **დაემტკიცებინა**—ხაზს ვუსვამ — **დაემტკიცებინა**, რომ მას აქვს კომერციული ინტერესები, თანაც საკმაო, ქვემო დუნაიში. მაშასადამე, უნდა დამტკიცდეს, რომ არის ინტერესები, ისიც საკმაო, რომლებიც აღიარებულ უნდა იქნან, ისიც ერთხმად აღიარებული, კომისიის ყველა წევრის მიერ. ეს წესი მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სახის ვეტოა, რომელიც მიმართულია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ეს ნათლად არის გამოთქმული მეოთხე მუხლში. განა ეს ასე არ არის? რასაკვირველია, ასეა. სრულიად უიმედო საქმეა ის ამოცანა, რომ დაუმტკიცო შენი უფლება და დაუსაბუთო შენი პრეტენზიები იმათ, ვინც წინასწარ წინააღმდეგია ასეთი პრეტენზიების დაკმაყოფილებისა. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ინგლის-ალბანეთის დავა კორფუს სრუტეში მომხდარი ინციდენტის გამო, რომელიც ამასწინათ განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლომ.

მეოთხე მუხლი მოითხოვდა, რომ საბჭოთა კავშირს წარმოედგინა თავისი დაინტერესებულობის დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც იმავე კომისიას საკმაოდ უნდა ეცნო, ამასთან ეცნო ერთხმად. აი რას ნიშნავს მეოთხე მუხლი. იგი სავსებით ცხადად და გარკვეულად ლაპარაკობს, და ეს ნათელი უნდა იყოს იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის ყველა სტუდენტისათვის, თუ რას წარმოადგენს 1921 წლის კონვენცია მასთან შეერთების უფლების თვალსაზრისით.

ახლა გადავალ საკითხზე იმის შესახებ, დაარღვია თუ არა 1921 წლის კონვენცია 1938 წლის სინაის შეთანხმებამ, ინარჩუნებს თუ არა იგი თავის ძალას. მინდა დავიწყო 1921 წლის კონვენციის 42-ე მუხლით. ამ მუხლში ნათქვამია, რომ კონვენციაში ყოველგვარი ცვლილება შეიძლება მოხდეს მას შემდეგ, რაც ამ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების ორი მესამედი განაცხადებს თავის სურვილს შესცვალოს იგი იმ პუნქტების აღნიშვნით, რომელთა გადასინჯვაც განზრახული იყო. ეს განცხადება მიმართული უნდა ყოფილიყო საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობისადმი, რომელსაც ექვსი თვის შემდეგ უნდა მოეწვია კონვენციის ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს კონფერენცია. მაშასადამე, არავითარი ეჭვი არ რჩება, რომ 1921 წლის კონვენციაში ცვლილებების შეტანის ნორმალური წესი განსაზღვრული იყო ამ კონვენციის 42-ე მუხლით. ამ შემთხვევაში ეს არ იქნა შესრულებული. ახლა ჩვენ გვეუბნებიან— არ იყო შესრულებული იმიტომ, რომ არსებობს მე-7 მუხლი, რომელიც ადგენს კონვენციაში ცვლილებების შეტანის სხვა წესს იმ შემთხვევებში, როცა ეს ცვლილებები შეეხება ევროპის დუნაის კომისიის რწმუნებებს. მაგრამ, თუ თქვენ წაიკითხავთ მე-7 მუხლის ტექსტს, დაინახავთ, რომ იქ ეს არ არის ნათქვამი, იქ ნათქვამია: „ევროპის დუნაის კომისიის რწმუნებანი შეიძლება შესწყდეს მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე კომისიაში წარმოდგენილი ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით“. რას ნიშნავს ეს? როგორ შევათავსოთ მე-7 მუხლი 42-ე მუხლთან? რა თქმა უნდა, შეიძლება დავივიწყოთ 42-ე მუხლი და მაშინ მე-7 მუხლი შეიძლება ისე გავიგოთ, როგორც ინტერპრეტატორს სურს. მაგრამ არც ერთ დოკუმენტში, რომელიც ერთ მთლიანობას წარმოადგენს, გაგების ასეთი მეთოდი არ არის დასაშვები. როგორ შეიძლება ისეთი მუხლის არსებობისას, რომელიც ხმის ორმესამედს მოითხოვს, ვილაპარაკოთ, რომ კონვენციაში ცვლილებები შეიძლება შეიტანოს მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ 12-დან, ე. ი. ინგლისმა, საფრანგეთმა, რუმინეთმა და იტალიამ. მაგრამ საქმე ის არის, რომ კონვენციის მე-7 მუხლში ნათქვამია, ცვლილებები შეიძლება მოხდეს საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა წევრმა, ხაზს ვუსვამ—ევროპის დუნაის კომისიის ყველა წევრმა. სხვანაირად რომ ითქვას, კონვენციის იმ ნაწილის შეცვლის წესი, რომელიც შეეხება ევროპის დუნაის კომისიის რწმუნებებს, 1921 წლის კონვენციით ასეთი იყო:

1. ჯერ უნდა იყოს კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების ორი მესამედის, ე. ი. 8 სახელმწიფოს, განცხადება ცვლილების აუცილებლობის შესახებ.

2. თვით ცვლილებები შეიძლებოდა კონვენციაში შეტანილიყო საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ევროპის დუნაის კომისიის ყველა წევრის, ე. ი. ინგლისის, საფრანგეთის, რუმინეთისა და იტალიის **მონაწილეობით**. ეს უკანასკნელი წესი მხოლოდ ვეტოა ოთხი სახელმწიფოსი, ანდა თვითეული მათგანისაც კი. ეს წესი იმის მსგავსია, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 27-ე მუხლში უშიშროების საბჭოში არასაპროცედურო საკითხების კენჭისყრის წესის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 27-ე მუხლში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილებანი არასაპროცედურო საკითხებზე მიიღება უშიშროების საბჭოს 7 ხმის უმრავლესობით, უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის თანხვედნილი ხმების ჩათვლით. იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ცვლილებების შეტანა 1921 წლის კონვენციაში, რომლებიც გათვალისწინებულია მე-7 მუხლით, საჭიროა არა მარტო სახელმწიფოთა ორი მესამედის თანხმობა 42-ე მუხლით, არამედ საჭიროა, რომ ამ ორ მესამედში შედიოდეს ევროპის დუნაის კომისიის ყველა წევრი. მე-7 მუხლში ნათქვამია — კომისიაში წარმოდგენილი **ყველა** სახელმწიფოს მონაწილეობით. ეს არის ევროპის დუნაის კომისიის წევრ სახელმწიფოთა გარანტია, რომ მათი ნების გარეშე, მათი სურვილის გარეშე, მათი ინტერესების გარეშე არავითარი ცვლილება კონვენციის წესდებაში ევროპის დუნაის კომისიის რწმუნებათა საკითხის გამო შეტანილი არ იქნება.

ეს მე-7 მუხლისა და 42-ე მუხლის ერთადერთი შესაძლო გაგებაა. სხვანაირად გამოდის მე-7 მუხლსა და 42-ე მუხლს შორის საშინელი წინააღმდეგობა. სხვანაირად გამოვიდოდა, რომ მე-7 მუხლი აუქმებს 42-ე მუხლს. მაგრამ ეს ასე არ არის. მე-7 მუხლის წესი კონვენციაში შეტანილი იყო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისათვის გარანტიის მიცემის მიზნით, რომ მათი ნების წინააღმდეგ არ შეიძლებოდა შეცვლილიყო კონვენცია ევროპის დუნაის კომისიის რწმუნებათა მიმართ.

აი ამიტომ საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რომ მე-7 მუხლი ორგანულად დაკავშირებულია 42-ე მუხლთან, რომ მე-7 მუხლში მოცემულია განსაკუთრებული წესი, მაგრამ დატოვებულია 42-ე მუხლის ძირითადი იდეა, რომელიც ამბობს, რომ ყოველგვარი ცვლილება კონვენციაში შესაძლო იყო მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოთა ორი მესამედი წინასწარ განაცხადებდა თავის თანხმობას ასეთ ცვლილებებზე. მე-7 მუხლი უზრუნველჰყოფს და აზღვევს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ინტერესებს, ევროპის დუნაის კომისიაში შემავალი ოთხი სახელმწიფოს პრივილეგიებს. მე-7 მუხლი სტოვებს მათ უფლებას და აძლევს შესაძლებლობას საკუთარ ხელში იქონიონ დუნაიზე მთელი ნაოსნობის მართვისა და კონტროლის ძირითადი ბერკეტები.

აი ის იურიდიული მოსაზრებანი, რომლებიც მე საჭიროდ ჩავთვალე ახლა ჩამომეყალიბებინა, რათა გარკვეულობა შემეტანა იმ არევდარევაში, რომლის შექმნასაც აქ ცდილობდა ჩემი პატივცემული ოპონენტი, ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე.

ამას დავძენ შემდეგს: დავუშვათ, რომ მართალი არიან ბ-ნი პიკი და მისი იურისტები, რომ მართლაც, როცა მე-7 მუხლი მეტყველებს, მაშინ 42-ე მუხლი სდუმს. დავუშვათ, რომ ეს ასეა. მაგრამ რას ამბობს მე-7 მუხლი? იგი ამბობს: ცვლილებები შესაძლოა 1921 წლის კონვენციის **ყველა** ხელმომწერი სახელმწიფოს მონაწილეობით. ნება მიბოძეთ გკითხოთ, ვინ იყო 1938 წელს კომისიაში? ინგლისი, საფრანგეთი, რუმინეთი, იტალია. ხოლო ვინ მოაწერა ხელი 1938 წლის შეთანხმებას? ინგლისმა, საფრანგეთმა და რუმინეთმა. სადღაა იტალია? თქვენ ნათქვამი გაქვთ: კომისიაში წარმოდგენილი **ყველა სახელმწიფო**, მაგრამ 1938 წლის სინაის შეთანხმებას ხელი მოაწერა არა ოთხმავე სახელმწიფომ, არამედ მხოლოდ სამმა. სადღაა მეოთხე სახელმწიფო? სად არის ამ სახელმწიფოს ხმა? სად არის მისი სუვერენული ნება? სად არის მისი 1921 წელს შეძენილი უფლება?

აი ამიტომ სავსებით სერიოზულად ვამბობ, რომ 1938 წლის შეთანხმებამ უხეშად დაარღვია 1921 წლის კონვენცია, რომელსაც ხელს აწერენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. 1921 წლის კონვენცია დარღვეულ იქნა უკვე იმით, რომ იგი შეცვლილ იქნა ძალიან არსებით ნაწილში, და ამასთან მე-7 მუხლით დადგენილი წესის დარღვევით.

თქვენ არ ეთანხმებით 42-ე და მე-7 მუხლების ჩემს განმარტებას. დავუშვათ, რომ თქვენ მართალი ხართ. მაგრამ მაინც სად არის იტალიის ხელმოწერა? მე მოვიცდი კიდევ 72 საათს—იქნებ მონახოთ პასუხი. მე მზად ვარ მოგცეთ კიდევ 144 საათი, რომ თქვენ პასუხი მონახოთ. მე პასუხი უკვე მაქვს, იგი უკვე გაცემულია.

ასეთია საქმის მდგომარეობა „შეძენილი უფლებების“ მხრივ. რაზე ვდავობთ? აი რაზე ვდავობთ. ბ-ნმა ტიერიმ ბ-ნ პიკისა და ბ-ნ კენონის მხარდაჭერით განაცხადა, რომ არ იქნება ცნობილი იმ კონვენციის ძალა, რომელსაც არ მოიწონებს ყველა ის სახელმწიფო, რომლებმაც ხელი მოაწერეს წინა კონვენციას, ესე იგი 1921 წლის კონვენციას. მე ამაზე ვუპასუხე, რომ 1921 წლის კონვენცია არ არსებობს. იგი უკვე დაარღვიეს იმათ, ვინც 1938 წელს, 42-ე მუხლის დარღვევით, დასდო შეთანხმება, რომელსაც ძალიან არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა მართლაც ძალიან არსებითია იმიტომ, რომ საქმე ეხება არსებითად არა რაიმე მეორეხარისხოვან ცვლილებებს, არამედ აი რას: სინაის 1938 წლის შეთანხმებით ევროპის დუნაის კომისია ხომ არარაობად იქცა. მაშინ ხომ დაწესდა ქვემო დუნაის ავტონომიური სამმართველო, რომელსაც გადაეცა ევროპის დუნაის კომისიის უფლებები. მე ამის წინააღმდეგი არა ვარ. მე ეს კიდევაც სწორად მიმაჩნია, იმიტომ რომ დუნაიზე უფლებები უნდა ჰქონდეთ დუნაისპირა სახელმწიფოებს და არა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ასობით კილომეტრით არიან დაშორებული დუნაის. მაგრამ ახლა მე ვლაპარაკობ საქმის იურიდიულ მხარეზე, 1921 წლის კონვენციის დარღვევებზე. ეს დარღვევები შეეხებოდა არა უბრალოდ რაიმე სანავიგაციო წვრილმანს, საქმე ეხებოდა ახალი ორგანოს — ქვემო დუნაის ავტონომიური სამმართველოს შექმნას ახალი ფუნქციებით, რწმუნებათა ახალი მოცულობით. ეს მოასწავებდა ევროპის დუნაის კომისიის აღსასრულს. ეს მოასწავებდა, რომ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი არ დაერიდნენ გვერდი აევლოთ 1921 წლის კონვენციისათვის, როცა ეს მათთვის საჭირო აღმოჩნდა, ისევე როგორც მზარეული ექცევა კარტოფილს. ბ-ნმა პიკმა თავისი სიტყვა გონებამახვილი კითხვით დაამთავრა: „ვინ არის ჩვენგან მზარეული და ვინ კარტოფილიო?“ მე სხვას ვანდობ პასუხის გაცემას ამ კითხვაზე: მართლაც ვინ არის ჩემსა და ბ-ნ პიკს შორის მზარეული და ვინ კარტოფილი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვა დუნაის კონფერენციაზე ბელგრადში 1948 წლის 4 აგვისტოს

ბატონო თავმჯდომარევ, ჩვენ ვიწყებთ დუნაის ნაოსნობის რეჟიმის კონვენციის პროექტის განხილვას, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ ყველა დელეგაციის განკარგულებაში გადასცა. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია გააკეთოს რამდენიმე განმარტებითი შენიშვნა, რომლებიც ცხადჰყოფენ საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილი პროექტის ძირითად დებულებათა არსს და ამ პროექტის მთავარ განსხვავებას 1921 წლის კონვენციისაგან.

1. დუნაის პრობლემის მნიშვნელობა და 1921 წლის კონვენცია

ჩვენ უკვე მოგვიხდა დუნაის პრობლემის განხილვა საერთაშორისო წრეებში, კერძოდ, ეს მოხდა პარიზის 1946 წლის საზავო კონფერენციაზე იმ საზავო ხელშეკრულებათა განხილვასთან დაკავშირებით, რომლებიც შემდეგში რუმინეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან დაიდო. მაშინ იყო ცდა, რომ დუნაის ნაოსნობის რეჟიმის საკითხები გზადაგზა განეხილათ რუმინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან დასადებ საზავო ხელშეკრულებათა განხილვასთან ერთად. მაგრამ ცხადია, დუნაის პრობლემას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და საკმაოდ სერიოზულ ინტერესს წარმოადგენს იმისათვის, რომ ეს პრობლემა სპეციალური კონფერენციის განხილვის საგანი გამხდარიყო; და შემდეგში ყველანი შეთანხმდნენ, რომ ნამდვილად საჭიროა სპეციალური კონფერენცია, რომელმაც ახლა, ამა წლის 30 ივლისს, დაიწყო მუშაობა ბელგრადში. საჭირო გახდა აგრეთვე იმაზე დათანხმება, რომ დუნაის ნაოსნობის რეჟიმის შესახებ ამ სპეციალური კონფერენციის მონაწილენი უწინარეს ყოვლისა უნდა იყვნენ ის ქვეყნები, რომელნიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი დუნაის პრობლემით, სახელდობრ — დუნაისპირა სახელმწიფოები, და, როგორც ეს ამ კონფერენციის ინიციატორ ოთხ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის იყო შეთანხმებული,—სამი არადუნაის სახელმწიფოც, მე არ ვასახელებ საბჭოთა კავშირს, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი დუნაისპირა სახელმწიფოა. მე ამ შემთხვევაში მხედველობაში მყავს სამი არადუნაის სახელმწიფო, სახელდობრ: ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. არ შეიძლება არ მოგაგონოთ, რომ პარიზის კონფერენციაზე და სხვა შემთხვევებში დუნაის საკითხის განხილვის დროს ზოგიერთი სახელმწიფო გარკვეულ ტენდენციას იჩენდა შეენარჩუნებინა ამ დრომდე მოქმედი 1921 წლის კონვენცია, რომლითაც დუნაიზე პრივილეგიური მდგომარეობა ენიჭებოდა ზოგიერთ სახელმწიფოს. ამ ტენდენციამ— შეენარჩუნებინათ 1921 წლის კონვენცია, ისე, რომ მასში არ შეეტანათ არავითარი არსებითი ცვლილება, რომელიც შეზღუდავდა ან გააუქმებდა ამ პრივილეგიებს, საკმაოდ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ჩვენს კონფერენციაზეც. საკმარისია გავიხსენოთ კამათი, რომელიც ამასთან დაკავშირებით 2-3 დღის წინათ გაიმართა. ნამდვილად რა უპირატესობას ანიჭებდა 1921 წლის კონვენცია ზოგიერთ სახელმწიფოს, რომელნიც ახლაც დაჟინებით აცხადებენ, რომ ამ კონვენციას თავისი ძალა არ დაუკარგავს და რომ ყოველმა სხვა კონვენციამ, არსებითად რომ ვთქვათ, მხოლოდ უნდა გაიმეოროს ის ძირითადი რამ, რასაც 1921 წლის კონვენცია შეიცავს?

მინდა მოკლედ შევჩერდე ამ საკითხზე, რადგან საქმე ეხება იმას, რომ აღინიშნოს განსხვავება 1921 წლის კონვენციასა და იმ პროექტს შორის, რომელიც ამჟამად უნდა განვიხილოთ.

შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის კონვენციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია არადუნაის სახელმწიფოთა პრივილეგიური მდგომარეობა, ის, რამაც გამოხატულება ჰპოვა ზოგიერთი იმ დელეგაციის გამოსვლებში, რომლებმაც იხმარეს ფრთოსანი ფრაზა „შეძენილ უფლებათა“ შესახებ. მაგრამ, როგორც ეს ჯერ კიდევ პარიზის 1946 წლის კონფერენციაზე გამოითქვა, 1921 წლის კონვენცია, რომელიც პრივილეგიებს ანიჭებდა არადუნაის სახელმწიფოებს, ვერავითარ გამართლებას ვერ პოულობს, განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში. უფრო მეტიც, ამჟამად 1921 წლის კონვენციამ იურიდიულადაც შესწყვიტა მოქმედება, დაჰკარგა ძალა, იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც შემდგომ შეტანილ იქნა ამ კონვენციაში. აქ საქმე ეხება იმდენად არა იმას, რომ ასეთი ცვლილებები შეტანილ იქნა, არამედ უფრო იმ წესს, რომლითაც ეს ცვლილებები იქნა შეტანილი. ამ ცვლილებათა შეტანით დაირღვა თვით 1921 წლის კონვენციით დადგენილი წესი, და ეს სპობს იმაზე მითითების საფუძველს, რომ 1921 წლის კონვენცია მოქმედებს. მაშასადამე, მნიშვნელობას ჰკარგავს და საფუძველს მოკლებულია იმაზე მითითებაც, რომ ვერავითარი სხვა კონვენცია ძალაში ვერ შევა მანამდე, სანამ 1921 წლის კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები თანხმობას არ განაცხადებენ მიიღონ ახალი კონვენცია, რომელიც ხელმოწერილ იქნება ამ კონფერენციაზე.

მე ვამბობ, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა ეს პოზიცია წინათვე იყო უარყოფილი. ჩვენ აგრეთვე გვგონია, რომ დუნაის პრობლემის განხილვისას ამჟამად სწორი არ არის იმ პრინციპით ხელმძღვანელობა, რომელსაც პარიზის 1946 წლის კონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ ის დელეგაციები, რომელნიც მოითხოვდნენ, რომ მომავალ კონვენციას დაეკმაყოფილებინა ეგრეთ წოდებულ „თანაბარ ეკონომიურ შესაძლებლობათა“ პრინციპი. უკვე მაშინ ცხადად იქნა ნაჩვენები, თუ რას ნიშნავენ ეს „თანაბარი ეკონომიური შესაძლებლობანი“ ახლანდელ პირობებში. უკვე მაშინ ცხადად იქნა ნაჩვენები, რომ ეს პრინციპი საერთაშორისო მნიშვნელობის არც ერთი მდინარის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული. მაშინ მიუთითებდნენ სუეცის არხზე, პანამის არხზე და მთელ რიგ სხვა საერთაშორისო სანაოსნო გზებზე, მათ შორის სამდინარო გზებზე, სადაც სრულებით არ ყოფილა გამოყენებული ეს პრინციპი, რომლის გამოყენებასაც სწორედ დუნაისადმი ენერგიულად ცდილობდა ზოგიერთი დელეგაცია. საბჭოთა დელეგაცია ესეც არასწორად მიაჩნია.

2. კონვენციის საბჭოთა პროექტის ძირითადი პრინციპები

საბჭოთა დელეგაცია იმით ხელმძღვანელობს, რომ ახალმა კონვენციამ უნდა უზრუნველჰყოს თავისუფალი ნაოსნობა დუნაიზე, დუნაისპირა სახელმწიფოების ინტერესთა და სუვერენულ უფლებათა შესაბამისად, აგრეთვე დუნაისპირა ქვეყნების ერთმანეთში და სხვა ქვეყნებთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით.

იცავდა რა ამ პრინციპს, საბჭოთა კავშირმა იმას მიაღწია, რომ 1946 წლის დეკემბერში ოთხი წამყვანი მსოფლიო სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი შეთანხმდნენ, რომ მომავალ კონვენციაში შეეტანათ მუხლი — მთავარი, ხელმძღვანელი, განმსაზღვრელი და მთელი მომავალი კონვენციისათვის ტონის მიმცემი მუხლი, რომელიც დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმს ეხება. ამ საკითხზე შეთანხმება მიღწეულ იქნა ისეთი რედაქციით, რომ დუნაიზე ნავიგაცია თავისუფალი და ღია უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მოქალაქეთა, სავაჭრო გემთა და საქონელთათვის ნავსადგურებისა და სანავიგაციო გამოსაღებისა და სავაჭრო ნაოსნობის პირობების მხრივ თანასწორობის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება — ეს ხაზგასმით უნდა აღვნიშნო — ფრიად დიდმნიშვნელოვანია, ვიმეორებ იგი, როგორც ეს 1921 წლის კონვენციის 1-ლ მუხლში იყო, განსაზღვრავს მომავალი კონვენციის მთელი შინაარსის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიურ მიმართულებას, რომელიც ოთხმა სახელმწიფომ თავისთვის სავალდებულოდ სცნო. ეს არის ძირითადი; ეს, მე ვიტყოდი, არის პროგრამა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისათვის, რომ გარკვეული მიმართულება მივცეთ კონვენციას ყველა დანარჩენ მის ნაწილშიც, რომელნიც არ შეიძლება არ იმეორებდნენ მთავარ მუხლში გამოთქმულ ძირითად იდეებსა და პრინციპებს.

მაგრამ ეს დებულება, რომელიც გამოხატულია დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის კონვენციის 1-ლი მუხლის ჩემ მიერ ეს-ეს არის გამოქვეყნებულ პროექტში, ფრიად არსებითად განსხვავდება 1921 წლის კონვენციის შესაბამისი მუხლის დებულებისაგან. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია კონფერენციის ყურადღება მივაპყრო ამას, რათა სავსებით უეჭველი გახდეს ის ძირითადი წანამძღვარები, რომლებითაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირი, როცა კონფერენციის წინაშე აყენებს დუნაის კონვენციის ახალ პროექტს.

ასეთია პირველი პუნქტი, რომელზე შეჩერებაც საჭიროდ მივიჩნიე, როცა ვახასიათებდი ახალი კონვენციის ჩვენი პროექტის განსხვავებას დუნაიზე წინათ მოქმედი კონვენციებისაგან, მათ შორის, რასაკვირველია, 1921 წლის კონვენციისგანაც და კიდევ უფრო ადრინდელი 1856 წლისა და 1878 წლის კონვენციებისგანაც.

მეორე პუნქტი, რომელზეც მინდა შევჩერდე—ეს არის თვით ცნება „დუნაი“. დუნაის სამდინარო სისტემის ცნება, როგორც ცნობილია, 1921 წლის კონვენციაში მოიცავს არა მარტო თვით დუნაის, არამედ აგრეთვე მთელ რიგ შენაკადებსაც, არა მარტო დუნაის სანაოსნო ნაწილს ულმიდან შავ ზღვამდე, არამედ შენაკადებსაც, რომლებიც ჩამოთვლილია 1921 წლის კონვენციის მეორე მუხლში, სადაც ჩვენ ვხედავთ ტისასაც, მორავასაც, ტაიასაც, დრავასაც, მაროშსაც, სადაც, მართალია, ნაჩვენები არ არის შემაერთებელი თუ შემოსავლელი არხები, მაგრამ აღნიშნულია, რომ ასეთი არხები შემდეგში შეიძლება მოქცეულ იქნან დუნაის სისტემაში, როცა მათ გაიყვანენ.

საბჭოთა პროექტი იმას ეყრდნობა, რომ დუნაის სამდინარო სისტემა უნდა შეიცავდეს მხოლოდ საკუთრივ დუნაის როგორც ასეთს, ე. ი. უშენაკადოდ. არც ტისა, არც ტაია, არც დრავა, არც მორავა და სხვ., არც შემაერთებელი, არც შემოსავლელი არხები არ უნდა მოექცეს ამ სისტემაში. საბჭოთა დელეგაცია ამასთან ითვალისწინებს პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზანშეწონილობას. ამ მხრივ პროექტი იმ პოზიციაზე დგას, რომელზეც იდგა 1856 წლის კონვენციაც, რომელიც აგრეთვე მარტო დუნაით ზღუდავდა დუნაის სამდინარო სისტემას.

3. დუნაის კომისია

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის მესამე, ფრიად არსებითი განსხვავება 1921 წლის კონვენციისაგან შეეხება საორგანიზაციო საკითხებს. ჩვენს პროექტში ნაცვლად დუნაის ორი კომისიისა, რომლებიც გათვალისწინებული იყო 1921 წლის კონვენციით, სახელდობრ—ნაცვლად ევროპის დუნაის კომისიისა ან საზღვაო დუნაის კომისიისა და დუნაის საერთაშორისო კომისიისა, ანდა სამდინარო დუნაის კომისიისა — გათვალისწინებულია დუნაის ერთიანი კომისია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოთა პროექტის არსებითი განსხვავება 1921 წლის კონვენციისაგან ის არის, რომ დუნაის კომისია საბჭოთა პროექტის მიხედვით მარტო დუნაისპირა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან უნდა შესდგებოდეს. ეს შესაბამება ძირითად პრინციპს, სახელდობრ — იმ პრინციპს, რომ დუნაიზე ნაოსნობის მოწესრიგების, კონტროლის, უზრუნველყოფის საქმე უნდა შეადგენდეს დუნაისპირა სახელმწიფოთა — იმ ტერიტორიების პატრონთა — მოვალეობასა და უფლებას, რომლებზეც დუნაი გადის. საკმარისია მოგაგონოთ ეს ფაქტები, რათა ნათელი გახდეს, თუ რაში მდგომარეობს პრინციპული განსხვავება საბჭოთა დელეგაციის პროექტსა და 1921 წლის კონვენციას შორის როგორც გამოსავალი პოზიციების მხრივ, ისე იმ საორგანიზაციო საკითხების მხრივ, რომლებსაც მე ამჟამად შევეხე.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა დელეგაციის პროექტის მე-7 მუხლს დუნაის კომისიის კომპეტენციის შესახებ. ამ ნაწილში ჩვენი პროექტის მთავარი თავისებურება ის არის, რომ კომისიას ეკისრება ისეთი ფუნქციები, როგორიცაა კონვენციის დადგენილებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობა, ხარჯების საერთო ნუსხის, ნაოსნობის გასაუმჯობესებლად ძირითად სამუშაოთა საერთო გეგმის შედგენა, ამასთან დუნაიზე ნაოსნობის გაუმჯობესების სამუშაოთა ეს საერთო გეგმა, რომელსაც დუნაის კომისია ადგენს, უნდა ეყრდნობოდეს დუნაისპირა სახელმწიფოთა პროექტებსა და წინადადებებს. გარდა ამისა, საბჭოთა პროექტი მე-7 მუხლის მიხედვით დუნაის კომისიას შესაძლებლობასა და უფლებას აძლევს შეასრულოს სამუშაოები ზოგიერთ შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციის ამ პროექტის სხვა მუხლით—მე-4 მუხლით. სახელდობრ, როდესაც რომელიმე დუნაისპირა სახელმწიფო ვერ შესძლებს იმ სამუშაოთა შესრულებას, რომლებიც მის კომპეტენციას შეადგენენ, ეს სამუშაოები შეიძლება შეასრულოს დუნაის კომისიამ. პროექტით დუნაის კომისიას ევალება აგრეთვე კონსულტაცია გაუწიოს დუნაისპირა სახელმწიფოებს ნაოსნობის საკითხების სხვადასხვა დარგში.

ჩვენი პროექტით დუნაის კომისიას ეკისრება ნავიგაციის ერთიანი სისტემის დაწესება, სამდინარო ზედამხედველობის უფლების უნიფიკაცია, დუნაიზე ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის კოორდინაცია, დუნაის ნაოსნობის სტატისტიკის შემოღება, ყოველგვარ ცნობათა, ლოციათა, სანავიგაციო რუკების, ატლასების გამოცემა, ბიუჯეტის დამტკიცება და, დასასრულ, კონვენციით გათვალისწინებულ გამოსაღებთა და იმ გამოსაღებთა დაწესება და გადახდევინება, რომელთაც კომისია დააწესებს. თვითეულ დუნაისპირა სახელმწიფოს სამუშაოთა წარმოებისა და სათანადო მდგომარეობაში დუნაის შენახვის თავისი ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე უფლება ექნება თავისი შეხედულებით დააწესოს გამოსაღები, მაგრამ უნდა იხელმძღვანელოს იმ ძირითადი პრინციპებით, რომლებსაც დუნაის კომისია დაამტკიცებს.

4. სპეციალური სამდინარო ადმინისტრაციები

1921 წლის კონვენციის მე-2 და მე-3 კარები მიძღვნილია სპეციალური სამდინარო ადმინისტრაციების საკითხისადმი. საბჭოთა პროექტი სტოვებს ორ სპეციალურ სამდინარო ადმინისტრაციას, რომლებიც უკვე არსებობდნენ წინათ და დღემდე არსებობენ. ეს არის ეგრეთწოდებული სამდინარო ადმინისტრაცია რკინის კარებისა და დუნაის ქვემოწელის, ადმინისტრაცია, რომლის როლსაც ამჟამად ასრულებს საზღვაო დუნაის რუმინეთის ავტონომიური დირექცია.

საბჭოთა პროექტი ემყარება დუნაისპირა სახელმწიფოთა სუვერენობის და შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში დუნაიზე მათი სუვერენული უფლებების პრინციპს და მოითხოვს, რომ ამ ორი სპეციალური სამდინარო კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნან მხოლოდ იმ დუნაისპირა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, რომელთა ტერიტორიაც დუნაის მათი ნაკვეთის ორივე მხარეზე მდებარეობს. ამრიგად, ერთ შემთხვევაში გვექნება სამდინარო ადმინისტრაცია ორი სახელმწიფოს — იუგოსლავიისა და რუმინეთის — შემადგენლობით, მეორე შემთხვევაში გვექნება ადმინისტრაცია, სამდინარო ადმინისტრაცია აგრეთვე ორი სახელმწიფოს — რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობით. საჭიროდ არ მიმაჩნია უფრო დეტალურად შევეხო ამ დებულების დასაბუთებას, რამდენადაც ვფიქრობ, რომ დუნაისპირა სახელმწიფოების სუვერენულ უფლებათა პატივისცემის პრინციპის ჩემ მიერ დამოწმება საკმარისად განმარტავს იმ პოზიციის აზრსა და მოტივებს, რომელიც ამ საკითხში საბჭოთა დელეგაციის პროექტს უკავია.

რაც შეეხება ამ სამდინარო ადმინისტრაციათა საქმიანობის არსს, საბჭოთა პროექტით, 1921 და 1939 წლების კონვენციებისაგან განსხვავებით, მხედველობაშია მიღებული, რომ საჭიროა სპეციალურ სამდინარო ადმინისტრაციებს, გაცილებით მეტი ავტონომიური უფლებანი მიენიჭოს, ვიდრე ეს წინათ იყო, და ეს ძალიან მკაფიოდაა გამოთქმული ჩვენი პროექტის მთელ რიგ მუხლებში, რომლებსაც ამჟამად არ მოგაგონებთ, რათა დრო შევამცირო, და რომლებიც შეიძლება დეტალურად განიხილოს, ცხადია, სპეციალურმა კომიტეტმა, რომელიც ამ პროექტის განხილვას შეუდგება.

5. სხვა საორგანიზაციო საკითხები

ჩვენი პროექტის III თავი მიძღვნილია სხვა საორგანიზაციო საკითხებისადმი—ნაოსნობის რეჟიმის, ნავიგაციისა და სალოცმანო სამსახურის საკითხებისადმი. ჩვენი პროექტი ითვალისწინებს, რომ დუნაის ქვემოწელში, აგრეთვე რკინის კარების რაიონში ნაოსნობის წესებს თვითონ აღნიშნული რაიონების ადმინისტრაციები დაადგენენ. მაგრამ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ შეუთანხმებლობა, რომელიც უეჭველად ავნებს დუნაის ნაოსნობას, ჩვენი პროექტი ითვალისწინებს, რომ ამ ადმინისტრაციების, ისევე როგორც ყოველი დუნაისპირა სახელმწიფოს, მიერ დადგენილ ნავიგაციის წესებში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დუნაიზე ნაოსნობის ძირითადი დებულებანი, რასაც დუნაის კომისია ადგენს, როგორც ეს ნათქვამია პროექტის მე-7 და მე-20 მუხლებში.

ჩვენი პროექტის 21-ე მუხლი ადგენს, რომ გემებს, რომლებიც დუნაიზე დადიან, უფლება აქვთ შესაბამისი დუნაისპირა სახელმწიფოების მიერ დადგენილი წესების დაცვით შევიდნენ ნავსადგურებში, შეასრულონ იქ დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციები, ჩასხან და გადმოსხან მგზავრები, შეავსონ სათბობის მარაგი, მომარაგების საგნები და სხვ.

23-ე მუხლი შეიცავს მოთხოვნას, რომ სანიტარული და პოლიციური წესები, რომლებსაც დუნაიზე იყენებენ, განხორციელებულ იქნას ისე, რომ დისკრიმინაცია არ მოხდეს გემების ეროვნული კუთვნილების მოტივებით, ან სხვა რაიმე მოტივებით.

გარდა ამისა, პროექტში არის სპეციალური 24-ე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია საბაჟო, სანიტარული და სამდინარო ზედამხედველობის ფუნქციები, რომლებიც აგრეთვე გადადის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

რაიკომი და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი

მრავალი მსხვილი საწარმო და სატრანსპორტო დაწესებულება არის თბილისის ლენინის რაიონში. აქ არიან სხვადასხვა სპეციალობის მრავალრიცხოვანი კადრები: მუშები და მოსამსახურეები, პედაგოგები და ექიმები, ტექნიკური ინტელიგენცია. მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სათანადო დონეზე დაყენება პარტიის ლენინის რაიკომის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

რაიკომი სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. იგი პრაქტიკულ დახმარებას უწევს ძირეულ ორგანიზაციებსა და ცალკეულ კომუნისტებს, სამეურნეო ხელმძღვანელებსა და უპარტიო სპეციალისტებს პოლიტიკური განათლების მიღებისათვის. რაიკომთან შექმნილია პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივი სემინარი, რომელშიც 46 მუშაკია გაერთიანებული. სემინარში ახლა ი. ბ. სტალინის თხზულებათა IV ტომს სწავლობენ. საბჭოთა ეკონომიკის შესწავლის მიზნით სემინარი მოეწყო თბილისის რკინიგზის კვანძის პარტკომთან. გასულ წელს პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის შეიქმნა 6 მუდმივი სემინარი, რომელშიც 218 კაცი გაერთიანდა.

რაიკომის პარტკაბინეტთან მუშაობს მომხსენებელთა ჯგუფი. მორიგეობენ კონსულტანტები. ამჟამად რაიონში მოქმედებს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 15 წრე, რომლებშიც 264 მსმენელია გაერთიანებული. შექმნილია აგრეთვე ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 12 წრე—377 მსმენელით. ასობით კომუნისტი სწავლობდა პოლიტსკოლებში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას, როგორც ძირითად მეთოდს პოლიტიკური განათლების მიღების დარგში.

პარტიის რაიკომი, მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება მუდამ ზრუნავენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად. ინსტრუქტორ-პროპაგანდისტები კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას აძლევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, თუ როგორ უნდა მოეწყოს პროპაგანდისტული მუშაობა. პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი კონტროლის გაძლიერებასთან ერთად გააუმჯობესა მათდამი დახმარებაც. ამ ბოლო დროს განყოფილების მუშაკები 200 ამხანაგს ესაუბრნენ და სათანადო დახმარებაც გაუწიეს.

მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად რაიკომის პარტკაბინეტი, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა და რკინიგზის კვანძის პარტკაბინეტები სისტემატურად აწყობენ ლექციებს პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა საკითხებზე, მართავენ საუბრებსა და მეთოდთათბირებს.

პარტიული აქტივიდან შერჩეულია და რაიკომის ბიუროს მიერ კონსულტანტებად დამტკიცებულია 80 ამხანაგი მსხვილ საწარმოებში მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელებისადმი დახმარების გასაწევად. წელს რაიკომის ბიურომ არა ერთხელ შეამოწმა და მოისმინა პარტიული და საბჭოთა აქტივის სწავლების საკითხი და სათანადო ღონისძიებანიც დასახა. რაიონის პარტიული აქტივიდან მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში წელს წარმატებით მეცადინეობდა 47 კაცი.

ამ ღონისძიებათა შედეგად ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დაუფლებისათვის დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვი გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და ივლისში 4.295 კაცს მიაღწია. მათგან 3.516 კომუნისტია. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 394 კაცმა დაამთავრა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს 726 ამხანაგი სწავლობს დამოუკიდებლად, ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს კი —3.122 კაცი.

რაიონში ცოტა როდია ისეთი პარტიული ორგანიზაცია, რომელთა მდივნებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი კომუნისტებისადმი კონტროლისა და დახმარების მოწყობის საქმეს.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და საამქროთა პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა თვალსაჩინოდ გააძლიერეს კომუნისტებისადმი მომთხოვნელობა და დახმარება. აქ 402 ამხანაგი დამოუკიდებლად სწავლობს პარტიის ისტორიას, 212 — ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს, 53—ლენინისა და სტალინის ცალკე ნაშრომებს. ამწყობი საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ფირცხალავამ წელს ორჯერ მოაწყო წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებთან გასაუბრება. საუბრის დროს გამოირკვა მრავალი ნაკლი, რომელთა გამოსასწორებლად დაისახა ღონისძიებანი. პარტბიუროს სხდომებსა და კრებებზე ხშირად იხილავენ კომუნისტების თვითგანათლების, ახალგაზრდა კომუნისტების იდეური აღზრდის საკითხებს. კომუნისტების პოლიტიკური განათლებისათვის შეუნელებლად ზრუნავს სახარატო-მექანიკური საამქროს პარტბიუროს მდივანი ამხ. კაჭკაჭიშვილი. საამქროს 33 კომუნისტიდან 13 მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს სწავლობს. ცნობილი სტახანოველი ამხ. ცისკაძე ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის პროპაგანდისტია და ჩინებულად ეხმარება თავის ამხანაგებს პოლიტიკური დონის ამაღლებაში. ამხ. კაჭკაჭიშვილმა, რომელიც სისტემატურად ამოწმებს კომუნისტების მუშაობას თავიანთი იდეური მომზადების ასამაღლებლად, კარგად იცის მათი შესაძლებლობანი და ამას უფარდებს თვითეულისადმი დახმარების ამა თუ იმ ფორმას. 15 კონსულტანტი განუმარტავს ქარხნის კომუნისტებს თეორიულ საკითხებს და უწევს მეთოდურ დახმარებას. ქარხნის პარტკაბინეტის მომხსენებელთა ჯგუფში 14 საუკეთესოდ მომზადებული კომუნისტია გაერთიანებული. ისინი საამქროებში მოხსენებებს კითხულობენ პარტიის ისტორიის, თეორიისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე.

კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმე კარგად არის დაყენებული ავტოსარემონტო ქარხანაში. პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. სულაძე დიდ ადგილს უთმობს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დახმარებას. ბიურო სისტემატურად იწვევს დამოუკიდებლად მომეცადინე ამხანაგების თათბირებს, ავლენს მუშაობის ნაკლოვანებებს და ზომებს იღებს მათ აღმოსაფხვრელად. პარტბიურომ წელს 5-ჯერ განიხილა კომუნისტების იდეურ-თეორიული აღზრდის საკითხი.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს საქმიან დახმარებას უწევენ საელმავლო დეპოს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, თბილისის სამგზავრო სადგურის, საორთქლმავლო დეპოს, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნისა და სხვ. პარტიული ორგანიზაციები.

მოწინავეთა გვერდით არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციებიც, რომლებიც ჯეროვან დახმარებას არ უწევენ კადრებს პოლიტიკური განათლების დონის ამაღლების დარგში. ამით აიხსნება, რომ კომუნისტების ნაწილი გულგრილად ეკიდება ბოლშევიკური პარტიის საწესდებო მოთხოვნების შესრულებას, არ იმაღლებს თეორიულ დონეს. შემოწმებამ გამოავლინა, რომ არა მარტო რიგითი კომუნისტები, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკიც უდარდელად ეკიდება თეორიის დაუფლების საქმეს. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საწარმოო განყოფილების გამგე კომუნისტი ამხ. კილკიმოვი აცხადებს, რომ „გადატვირთვის გამო“ სრულიად ვერ მუშაობს წიგნზე. მეოთხე სავაგონო უბნის უფროსის მოადგილე ამხ. ჯაფარიძე და უბნის ინჟინერი ამხ. ხუოშულოვი დიდი ხანია აღარ მეცადინეობენ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საგეგმო განყოფილების გამგეს პარტიის წევრობის კანდიდატს ამხ. კაკიტელაშვილს ჰგონია, რომ ნაროდნიკები მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისზე იდგნენ. მას არ შეუძლია განმარტოს, რა მიზანი აქვს „მარშალის გეგმას“. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საორთქლმავლო სამსახურის სათბობი განყოფილების უფროსი ამხ. ლექავა დიდი ხანია სწავლობს პარტიის ისტორიის „მოკლე კურსს“, მაგრამ II თავს არ გასცილებია, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზეც. ამავე სამსახურის უფროსი ინჟინერი თევზაძე გაზეთსაც არ კითხულობს. თავიანთ იდეურ დონეს არ იმაღლებენ საორთქლმავლო დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. გულაძე და საელმავლო დეპოს მთავარი ინჟინერი ამხ. თოიძე. პურის № 4 ქარხნის მომარაგების უფროსი, კომუნისტი ამხ. ტერ-მიკირტიჩიანი ფიქრობს, რომ კომუნისტები იდეალიზმის თვალსაზრისზე დგანან. ამავე ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ამხ. როსტომოვამ საუბარში განაცხადა, რომ რუსეთში 5 რევოლუცია მოხდა. არტელ „მტვირთავის“ თავმჯდომარემ ამხ. გამყრელიძემ სთქვა: პარტიის II ყრილობა შეიკრიბა საზღვარგარეთ, მგონია მინსკში. ამ პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბაღდასაროვა დარწმუნებულია, რომ ჩვენ XIX საუკუნეში ვცხოვრობთ და ზოგიერთი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელნი პარიზში შეიკრიბნენ. პოლიტსწავლება ცუდადაა დაყენებული ტრიკოტაჟკომბინატსა და პლასტმასის ქარხანაშიც.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. გიორგაძეს არ აქვს დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებთან გასაუბრების აღრიცხვა. თბილისის ვაგონის გამცილებელთა რეზერვის პარტბიუროს მდივანმა ამხ. პატარავამ 242 კომუნისტიდან მხოლოდ 19 ამხანაგთან შესძლო მოეწყო თეორიული საუბარი. მსგავსი მდგომარეობაა 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციაშიც.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტად უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ყოველი კომუნისტი განუხრელად იმაღლებდეს პოლიტიკურსა და კულტურულ დონეს. კომუნისტებისადმი კონტროლი არ უნდა ატარებდეს კამპანიურ ხასიათს, არამედ უნდა იყოს გეგმაშეწონილი, თანმიმდევრული. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მდივანი კი მაშინ „დატრიალდება“, როცა გაიგებს, რომ მას ზემდგომი ორგანოები შემოწმებას უპირებენ.

თბილისის ლენინის რაიკომი 150 პირველადს პარტორგანიზაციას ხელმძღვანელობს. რაიკომის ორი ინსტრუქტორ-პროპაგანდისტი, ცხადია, ვერ შესძლებს ხშირად მიაკითხოს პირველადს ორგანიზაციას, ყველას გაუწიოს პრაქტიკული დახმარება ერთსა და იმავე დროს. რაიონის პირველადი ორგანიზაციების უმრავლესობას კი საკმაოდ მომზადებული და უნარიანი მდივნები ჰყავს. თუ ისინი მეტ ინიციატივას გამოიჩენენ, მეტი მონდომებით მოჰკიდებენ ხელს კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს, სასურველ შედეგსაც მიიღებენ.

პარტიის ლენინის რაიკომმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს პირველადი პარტორგანიზაციებისადმი კონტროლი და პრაქტიკული დახმარება, თავის მუშაობაში მეტი ადგილი დაუთმოს პროპაგანდისტული კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებასა და მათდამი მეთოდური დახმარების გაძლიერებას.

ე. ხუნდაძე

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვა დუნაის კონფერენციაზე ბელგრადში 1948 წლის 4 აგვისტოს

(დასასრული)

დუნაისპირა სახელმწიფოების ხელში, ამასთან ამ სახელმწიფოებმა დუნაის კომისიას უნდა აცნობონ მათ მიერ გამოცემული წესები, რათა ამ კომისიას შეეძლოს ხელი შეუწყოს ამ წესების უნიფიკაციას. ამ მუხლში აგრეთვე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ არც საბაჟო, არც სანიტარულმა და არც საპოლიციო ღონისძიებებმა ოდნავაც არ უნდა შეუშალონ ხელი ნაოსნობას. იგივე მუხლი ითვალისწინებს დუნაისპირა სახელმწიფოთა უფლებას, რომ სატრანზიტო ტვირთის გავლის დროს ხომალდთა კაპიტნებს მოსთხოვონ განცხადება ტვირთის შესახებ, რომლის შეტანაც ამა თუ იმ სახელმწიფოს ფარგლებში აკრძალულია. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დუნაისპირა სახელმწიფოს შეუძლია აკრძალოს ამ ტვირთის ტრანზიტი. ეს მხოლოდ ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში ამ ტვირთის გავლის დროს დალუქოს ეს ტვირთი ან საბაჟოს აგენტები მიუყენოს მას, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო ბოროტმოქმედება.

კონვენციის პროექტი ითვალისწინებს, რომ დუნაის დანარჩენ უბნებზე ნაოსნობა, გარდა იმ უბნებისა, რომლებიც რკინის კარებისა და დუნაის ქვემოწელის რაიონებს ეკუთვნის, განხორციელდება იმ წესების თანახმად, რომლებსაც დაადგენს შესაბამისი დუნაისპირა ქვეყანა და არა დუნაის კომისია. აქ დადასტურებას პოულობს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპი.

პროექტში არის ფრიად მნიშვნელოვანი მუხლი — 27-ე მუხლი, რომლითაც აკრძალულია დუნაიზე ყველა არადუნაისპირა ქვეყნის სამხედრო ხომალდების მიმოსვლა. აქ არის ფრიად არსებითი განსხვავება წინათ მოქმედი 1921 წლის კონვენციისაგან, რომელიც ამ მხრივ გამონაკლისს აკეთებდა ზოგიერთი არადუნაის სახელმწიფოსათვის, ნებას იძლეოდა რა, რომ ამ სახელმწიფოების სამხედრო გემებს (სტაციონერები) ეარნათ დუნაის შესართავიდან გალაცამდე. როგორც ცნობილია, 1921 წლის კონვენციაში არის მე-5 მუხლი, რომელიც აღნიშნავს, რომ ძალაში რჩება ყველა წესი და პრივილეგია, რაც დადგენილია წინათ მოქმედი კონვენციებით. აქ მხედველობაშია მიღებული უწინარეს ყოვლისა პარიზის 1856 წლის ტრაქტატის მე-19 მუხლი და ბერლინის 1878 წლის ტრაქტატის 52-ე მუხლი, რომლებიც დიდი სახელმწიფოების სამხედრო გემებს ზემოაღნიშნულ პრივილეგიას ანიჭებდნენ, მაშინ როცა სხვა სახელმწიფოები ამ პრივილეგიას მოკლებული იყვნენ. საბჭოთა დელეგაციის პროექტი ამ მდგომარეობას სპობს. აი 27-ე მუხლის ტექსტი: „დუნაიზე ყველა არადუნაისპირა ქვეყნის სამხედრო ხომალდების მიმოსვლა აკრძალულია.

დუნაიზე დუნაისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდების მიმოსვლა იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რომლის ალამიც აქვს ხომალდს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაინტერესებულ დუნაისპირა სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიხედვით“..

ეს არის არსებითი განსხვავება 1921 წლის კონვენციისაგან.

ამ თავის II კარი მიძღვნილია სალოცმანო სამსახურისადმი, რომელიც წინათ მოქმედი წესების ანალოგიური წესებით ეწყობა.

IV თავს „ნაოსნობის უზრუნველსაყოფი ხარჯების დაფარვის წესი“ — აგრეთვე არ შეაქვს რაიმე სიახლე, რამდენადაც წინანდელი პრაქტიკა გამართლებულია.

პროექტი, სხვათა შორის, აწესებს, რომ არავითარი გამოსაღები ტრანზიტისათვის როგორც ასეთისათვის, არ გადახდებათ გემებს, ტივებს, საქონელსა და მგზავრთ, რომ სათანადო წესრიგში დუნაის სისტემის შენახვის სამუშაოთა წარმოებისათვის გადასახდევინებელ გამოსაღებს აწესებენ კომისიის შესაბამისი ადმინისტრაციები და სანაპირო სახელმწიფოები და ამ გამოსაღებს არ უნდა მოჰქონდეს მოგება. ასევე სალოცმანო გამოსაღების ტარიფებსაც დუნაის ქვემოწელში და რკინის კარების რაიონში აწესებენ შესაბამისი ადმინისტრაციები, რასაც აცნობებენ კომისიას.

თავი V შესდგება ორი მუხლისაგან და დასკვნითი ხასიათისაა. 41-ე მუხლი განსაზღვრავს წესს, რის თანახმადაც კონვენციის ხელისმომწერ ქვეყნებს შორის უნდა მოგვარდეს დავა ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც შეეხება ამ კონვენციის ცალკეული მუხლებისა და დებულებათა გაურკვევლობას ან სხვადასხვანაირ განმარტებას. ეს მუხლი ითვალისწინებს საარბიტრაჟო წესის შემოღებას და ეს არის მისი განსხვავება 1921 წლის კონვენციისაგან.

42-ე მუხლს სერიოზული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ იგი ადგენს ამ კონვენციის ძალაში შესვლის წესს. იგი ითვალისწინებს, რომ კონვენცია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც 6 სარატიფიკაციო სიგელი შესანახავად გადაეცემა იუგოსლავიის მთავრობას.

კონვენციის პროექტს აქვს ორი დანართი. ერთი იმის შესახებ, რომ ავსტრია დუნაის კომისიაში შედის ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხის მოწესრიგების შემდეგ, და დამატებითი ოქმი კონვენციისადმი მეორე დანართის სახით, რომელიც აღნიშნავს, რომ დუნაიზე ნაოსნობის წინათ გამოყენებულმა რეჟიმებმა, ისევე როგორც აქტებმა, რომლებიც ამ რეჟიმის დაწესებას ითვალისწინებენ, კერძოდ 1921 წლის კონვენციამ, ძალა დაჰკარგეს. აქ ნათქვამია, რომ მიღწეული შეთანხმება გაუქმებულად ჩაითვალოს ევროპის დუნაის კომისიისა და დუნაის საერთაშორისო კომისიის ყველა ვალდებულება იმ კრედიტების ანაზღაურების მხრივ, რაც მას მისცეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, რუსეთმა და სხვა სახელმწიფოებმა, და სხვა ვალდებულებანი. ნათქვამია აგრეთვე, რომ ყოფილი ევროპის დუნაის კომისიის და ყოფილი დუნაის საერთაშორისო კომისიის ქონება გადადის შესაბამის ადმინისტრაციათა განკარგულებაში.

დანართების შინაარსი იმდენად ცხადია, რომ ამაზე აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

* * *

ასეთია ძირითადად შინაარსი დუნაის ნაოსნობის რეჟიმის კონვენციის პროექტისა, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ წარმოადგინა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს პროექტი სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებზეც თავში ვილაპარაკეთ. ეს სამართლიანი კონვენციაა. იგი აგებულია დუნაისპირა სახელმწიფოებისა და ხალხების სუვერენულ უფლებათა პატივისცემაზე, დუნაიზე არადუნაის სახელმწიფოთა პრივილეგიური მდგომარეობის ალკვეთაზე, მათი მხრივ დუნაისა და დუნაისპირა ქვეყნებისადმი ყოველგვარი ეკონომიური და პოლიტიკური კონტროლის ალკვეთაზე.

საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი კონვენცია გზას გაუხსნის დუნაისპირა ქვეყნების ერთმანეთში და სხვა ქვეყნებთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ახალ დიდ წვლილს შეიტანს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის მე-14 ეროვნული ყრილობა

ნიუ-იორკი, 3 აგვისტო. (საკდესი) 2 აგვისტოს მედისონ-სკვერ-გარდენში მიტინგით, რომელსაც 18 ათასი კაცი დაესწრო, გაიხსნა შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის მე-14 ეროვნული ყრილობა. 48 შტატის დელეგატები და სტუმრები აღფრთოვანებით მიესალმნენ კომპარტიის ლიდერებს ფოსტერს, დე'ისს, ვილიამსონს, უინსტონს, სტახელსა და სხვებს, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დაპატიმრებული იყვნენ და ახლა თავდებით არიან გამოშვებული.

მიტინგზე გამოსულმა კომპარტიის თავმჯდომარე ფოსტერი, გენერალური მდივანი დენისი, პროფკავშირთა საკითხების მდივანი ჯონ ვილიამსონი გადაჭრით მოუწოდებდნენ დამსწრეთ წინააღმდეგობა გაუწიონ როგორც დემოკრატიული, ისე რესპუბლიკური პარტიების რეაქციონერების ცდებს, რომ კომპარტია კანონგარეშე დაეყენონ მასობრივი დაპატიმრებისა და დევნის სხვა ფორმების გზით. გამოსულებმა დაჰგმეს ანტიკომუნისტური კამპანია, რომელიც ტარდება როგორც ამერიკელი ხალხის დაშინების ორპარტიული პროგრამის შემადგენელი ნაწილი, პროგრამისა, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ამერიკელები აიძულონ მიიღონ ომის იმპერიალისტური პოლიტიკა.

მთავარმა ორატორმა კომპარტიის თავმჯდომარე ფოსტერმა, რომლის სიტყვაც რადიოთი იქნა გადაცემული მთელ ამერიკაში, განაცხადა, რომ „ძირითადი საკითხი, რომელიც მომავალ არჩევნებში გადაიჭრება,—ეს არის მშვიდობა თუ ომი“. ფოსტერმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს ომი და გადაჭრით დაჰგმო „ნამდვილი დამნაშავენი—შეერთებული შტატების ეკონომიური მაგნატები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ექსპლოატაციას უწევენ მუშათა კლასს და ცდილობენ თავიანთი ბატონობა გაავრცელონ მთელ მსოფლიოზე, თუნდაც საშინელი ომის ფასად. მთელი მსოფლიოს ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეიგნებს ამერიკელი ხალხი საერთაშორისო პოლიტიკის ამ გადამწყვეტ ფაქტს“.

ტრუმენს, დიუის, დალესს, მარშალსა და ვანდენბერგს, სთქვა ფოსტერმა, არ სურთ საბჭოთა კავშირთან შეთანხმება დემოკრატიულ საფუძველზე და „მათი უარი მშვიდობაზე უფრო სახიფათო გახდა იმის გამო, რომ მათ ცინიკურად უარჰყვეს შესაძლებლობა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისა იმ დებულებათა საფუძველზე, რომლებსაც შეიცავენ სმიტისა და მოლოტოვის, სტალინისა და უოლესის წერილები“. ფოსტერმა განაცხადა, რომ აკისრებენ რა მთელ პასუხისმგებლობას ომის საფრთხისათვის უოლ-სტრიტს, კომუნისტები მოქმედებენ ამერიკელი ხალხის უმაღლესი ინტერესებისათვის.

ფოსტერმა გააფრთხილა დამსწრენი, რომ ომის ორპარტიული პოლიტიკა შეერთებულ შტატებში წარმოშობს ფაშიზმს, ვინაიდან, განაცხადა მან, უოლ-სტრიტს, ჰიტლერის მსგავსად, ფაშიზმი სჭირდება მსოფლიოს დაპყრობის თავისი პროგრამის განსახორციელებლად.

„ხარჯავს რა ათობით მილიონ დოლარს, — განაგრძო ფოსტერმა,—უოლ-სტრიტი ცდილობს ამერიკის ეკონომიური კონტროლი დაამყაროს ევროპისადმი, ხელახლა შეაიარაღოს ევროპის კონტინენტი, განსაკუთრებით გერმანია, და გააერთიანოს კაპიტალისტური ქვეყნები აქტიურ სამხედრო კავშირში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ „მარშალის გეგმა“, რომელიც მსოფლიოს ორ მტრულ ბანაკად ჰყოფს, ვერ უზრუნველჰყოფს მსოფლიოზე ამერიკის ბატონობას. შეერთებული შტატები აძლიერებენ თავიანთ კონტროლს დასავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის შერყეული კაპიტალისტური ქვეყნებისადმი, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს საბჭოთა კავშირის დაშინება ან ევროპაში მძლავრი დემოკრატიული მოძრაობის და კოლონიურ სამყაროში ფართო განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობა. და ისინი ამას ვერ მოახერხებენ. ამერიკის იმპერიალიზმი ვერ შესძლებს მსოფლიოს ხალხების დაშინებას, ისევე როგორც ვერ შესძლებს მათ ყიდვას „მარშალის გეგმით“.

ფოსტერმა ბრალი დასდო მონოპოლისტებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადებაში, ვინაიდან „მათ იმედი აქვთ სამხედრო მოქმედების გზით უზრუნველჰყონ თავიანთი ბატონობა მსოფლიოზე, რის დამყარებაც მათ არ [illegible]

შეუძლიათ დიპლომატიური, ფინანსური და პოლიტიკური ზეგავლენის გზით“.

მსოფლიოს დემოკრატიული ძალების წინაშე მდგომი მთავარი ამოცანა, განაგრძო ფოსტერმა, ის არის, რომ შეაჩერონ ომის გაჩაღების კამპანია, რასაც უოლ-სტრიტის იმპერიალისტები აწარმოებენ, და ამ მხრივ ამერიკელ ხალხს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ფოსტერმა ილაპარაკა მომავალი არჩევნების შესახებ და აღნიშნა, რომ ახალი პროგრესული პარტია მშვიდობისათვის მებრძოლ ძალებს შესაძლებლობას აძლევს იბრძოლონ ინფლაციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. ფოსტერმა განაცხადა, რომ ახალი პარტია ანგრევს ორპარტიულ სისტემას, რომელმაც რამდენიმე თაობის სიცოცხლის მანძილზე პოლიტიკურად შებოჭა ამერიკის მუშათა კლასი. უტიფრად სცრუობს ის, ვინც კომპარტიას ბრალს სდებს, რომ იგი ცდილობს ხელთ იგდოს ახალი პარტიის ხელმძღვანელობა ან კომპარტიამ მიაწერს ამ პარტიის შექმნას.

ფოსტერმა აღნიშნა, რომ კომპარტია ზოგ რამეში არ ეთანხმება პროგრესულ პარტიას.

ყრილობამ იცის, სთქვა დასასრულ ფოსტერმა, რომ საერთაშორისო დემოკრატიის ძალებს გაცილებით მეტი სიძლიერე აქვთ, ვიდრე საერთაშორისო რეაქციის ყოველ შესაძლო კოალიციას, რომელიც შეიძლება შექმნას უოლ-სტრიტმა. დემოკრატიის ძალები გადაჭრით იბრძოლებენ ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, რასაც უოლ-სტრიტი ამზადებს.

ქალაქ ნიუ-იორკის მუნიციპალური საბჭოს წევრმა ზანგთა ლიდერმა დევისმა ილაპარაკა თავისი დაპატიმრების და კომპარტიის სხვა ლიდერთა დაპატიმრების შესახებ და განაცხადა: „ტრუმენის ფედერალურმა გამომძიებლებმა ბიურომ მე ჩამომართვა ყველაზე ძვირფასი პირადი ქონება—ჩემი პარტიული ბილეთი მაგრამ ისინი ვერ წამართმევენ კომპარტიის წევრობას და მით უმეტეს ისინი ვერ შესძლებენ ხელი შეუშალონ ათასობით მუშას—ზანგებსა და თეთრებს—მიიღონ პარტიული ბილეთები მანამდე, სანამ ჩვენ არ გვექნება ნამდვილად დიდი მასობრივი კომუნისტური პარტია“.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა კომპარტიის მდივანი პროფკავშირთა საკითხების დარგში ვილიამსონი. ვილიამსონმა შეიტანა რეზოლუცია ამერიკელი ხალხისადმი მოწოდების სახით, რომ მან მოითხოვოს კონგრესის სპეციალური სესიის მოწვევა ხალხის ინტერესებისათვის ზომების მისაღებად და უზრუნველჰყოს, რომ ნოემბერში კონგრესში არჩეულ იქნას „ისეთ წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი რიცხვი, რომლებიც ნამდვილად იბრძვიან ომის წინააღმდეგ და იცავენ მუშათა მოძრაობის ინტერესებს“.

კომპარტიის მდივნის დენისის სიტყვა, სათაურით „პასუხი ბრალდებებზე“, წარმოადგენს არა მარტო სიტყვას კომპარტიის ლიდერების დასაცავად, რომლებსაც ბრალდება აქვთ წაყენებული, არამედ აგრეთვე მკვეთრ ბრალდებას ამერიკის მონოპოლიათა წარმომადგენლებისადმი. დენისმა განაცხადა, რომ იგი ბრალს სდებს მონოპოლისტებს იმაში, რომ ისინი ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე ამზადებდნენ ომისშემდგომ შეტევას მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა წინააღმდეგ, ხოლო უკანასკნელ სამ წელიწადში „მოახდინეს ძალადობის მრავალი აქტი თავიანთი რეაქციული მიზნების განსახორციელებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ“.

დენისმა განაცხადა, რომ კომპარტიას განზრახვა აქვს წარუდგინოს ამერიკელ ხალხს რეაქციონერების მიმართ მისი ბრალდებების ყველაზე სრული დამამტკიცებელი საბუთები. „ჩვენ მოვიყვანთ დამამტკიცებელ საბუთად ომის ისეთი გამჩაღებლების პროვოკაციულ განცხადებებს, როგორიც არიან ბულიტი, ბირნსი, ჰერსტი, ჰუვერი და ჯონ ფოსტერ დალესი. მათი პროპაგანდა, რომელიც მოუწოდებს, რომ ატომის ბომბები დააყარონ საბჭოთა კავშირს, დალს ასვამს მათ როგორც დამნაშავეებს, რომლებიც მოუწოდებენ ძალისა და ძალადობის გამოყენებისაკენ საზარელი და დანაშაულებრივი იმპერიალისტური მიზნით“.

დასასრულ დენისმა სთქვა, რომ „ის, ვინც ცდილობდა სასამართლო ინსცენირება მოეწყო გერმანელ კომუნისტებზე ჰიტლერული რაიხსტაგის ცეცხლის წაკიდებისათვის, ბოლოსდაბოლოს, თავისი დანაშაულისათვის ნიურნბერგის ტრიბუნალმა ჩამოახრჩო“.

იუგოსლაველი კომუნისტები ჰგმობენ იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანტისახალხო პოლიტიკას

იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ბელგრადი

ჩვენ, იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრები, ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები და ასპირანტები, ერთსულოვნად ენერგიულად ვგმობთ იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანტისახალხო პოლიტიკას საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი, საკავშირო კომუნისტური პარტიისადმი (ბ) და სხვა მოძმე კომპარტიებისადმი იწვევს უდიდეს იმის დაკარგვის საფრთხეს, რაც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ფაშიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, გვაშორებს სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ჩვენ მოვითხოვთ იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ასეთი პოლიტიკის დაგმობას, მოვითხოვთ, რომ ჩვენი პარტია დაუბრუნდეს მოძმე კომპარტიების ოჯახს, ჩვენი ქვეყანა კი ერთიან სოციალისტურ ბანაკს დიდი საბჭოთა კავშირისა და მისი ავანგარდის—ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, რომელსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობს.

მილენკო მალიშიჩი, იოსიპ მონტილიხა, ვლადიმირ ანდრეევიჩი, ივანე ბრანკოვიჩი, პრვოსლავ ჩირიჩი, ლაზარ აჯიგოგოვი, მიოდრე სტრახკოვი, მილიცა მილოსავლევიჩი, თომა პერიჩი, თომა დუბროვსკი, დუშან შკარპა, მილივოი ნოვოსელიჩი, მილან არსოვსკი, ფრანც კოდრიჩი, იუსტინა სუშა, ბოჟიდარ მიკლოშიჩი, დიმე ტოლოვსკი, ტრიფუნ სტანოევიჩი, ივანე ზდრავკოვიჩი, დუშან ვუიჩიჩი, მილოშ პავიჩიჩი, ვლადიმირ მომჩილოვი, საბოტ ჩამო, იხმეთ ბუტუროვიჩი, ჟარკო პანიჩი, დანკა დავიდოვიჩი, მიხაილო კრჩმარი, ლუკა ლილიჩი, ჯოკოვიჩი.

საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდი წარმატება საერთაშორისო კინოფესტივალზე

პრაღა, 3 აგვისტო. (საკდესი). 2 აგვისტოს დამთავრდა საერთაშორისო კინოფესტივალი მარიანსკა ლაზნეში. საბჭოთა კინემატოგრაფიამ ფესტივალზე სამი ძირითადი საერთაშორისო პრემიიდან მიიღო ორი პრემია: მშვიდობის პრემია ფილმ „რუსული საკითხისათვის“ და შრომის პრემია—ფილმისათვის „თქმულება ციმბირის მიწაზე“. პირველი საერთაშორისო პრემია მიენიჭა პოლონურ ფილმ „ოსვენციმს“. საერთაშორისო პრემია მიიღო აგრეთვე ჩეხოსლოვაკურმა ფილმმა „თეთრი წყვდიადი“.

გარდა ორი ძირითადი პრემიისა, საბჭოთა კინემატოგრაფიამ მიიღო კიდევ ოთხი საერთაშორისო პრემია. როგორც საუკეთესო მეცნიერულ სურათს პრემია მიენიჭა ფილმს „ისინი ვლაპვ ხედავენ“, როგორც საუკეთესო ფერად სურათს—ფილმს „თქმულება ციმბირის მიწაზე“, საუკეთესო სცენარისათვის „მესამე დარტყმის“ სცენარის ავტორს არკადი პერვენცევს და კინოფილმის საუკეთესო მუსიკისათვის—ფილმ „რუსული საკითხის“ მუსიკის ავტორს კომპოზიტორ ხაჩატურიანს. სულ 12 საერთაშორისო პრემიიდან ექვსი პრემია მიენიჭა საბჭოთა კინემატოგრაფიას.

პრემია რეჟისორული მუშაობისათვის მიენიჭა ამერიკულ კინოფილმს „ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები“ რეჟისორ უაილერს.

საპატიო დიპლომები მიენიჭა საბჭოთა ფილმ „კუზიან ცხენს“ და ოპერატორ ა. მოსკვინს ფილმ „პიროგოვისათვის“.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულია არპად საკაშიჩი

ბუდაპეშტი, 3 აგვისტო. (საკდესი). დღეს შესდგა პარლამენტის საზეიმო სხდომა, რომელზეც აირჩიეს რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი.

მას შემდეგ, რაც პარლამენტის დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს პრეზიდენტ ზოლტან ტილდის გადადგომა, პარლამენტის თავმჯდომარემ იმრე ნადმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის განთავისუფლებულ პოსტზე დასახელებულია არპად საკაშიჩის—უნგრეთის მშრომელთა პარტიის წარმომადგენლის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არც ერთ პარტიას არ დაუსახელებია.

პრეზიდენტად არპად საკაშიჩის არჩევის წინადადებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ამის შემდეგ პარლამენტმა ხმის დიდი უმრავლესობით უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია არპად საკაშიჩი.

კენჭისყრისაგან თავი შეიკავეს მხოლოდ ბარანკოვიჩის სახალხო-დემოკრატიული პარტიის დეპუტატებმა და შლახტის (ეგრეთწოდებული ქალთა ქრისტიანური ბანაკის) ჯგუფმა.

კენჭისყრის წინ მათ დემონსტრაციულად დასტოვეს დარბაზი და მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდნენ, რაც პარლამენტის თავმჯდომარემ უნგრეთის პრეზიდენტად არპად საკაშიჩის არჩევა გამოაცხადა. ყველა სხვა სამთავრობო და ოპოზიციურმა პარტიამ ერთსულოვნად მისცა ხმა დასახელებულ კანდიდატურას.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ პარლამენტის დეპუტატთა დელეგაციამ სხდომის დარბაზში მოიწვია უნგრეთის ახალი პრეზიდენტი არპად საკაშიჩი, რომელმაც პარლამენტის წინაშე საზეიმო ფიცი დასდო.

შემდეგ პრეზიდენტმა მიმართა პარლამენტის დეპუტატებს და წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მადლობა გადაუხადა მისთვის აღმოჩენილი ნდობის გამო და დაარწმუნა, რომ მთელ თავის ძალებს ახალი უნგრეთის მშენებლობას მოახმარს.

პრეზიდენტ საკაშიჩის სიტყვა უნგრეთის პარლამენტში

ბუდაპეშტი, 4 აგვისტო. (საკდესი). პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში უნგრეთის რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა არპად საკაშიჩმა სთქვა:

„ნდობა, რაც მე, ყოფილ კალატოზს, ყმა გლეხის შვილიშვილს გამიწიეს, ჩემთვის დიდი პატივია. მე, როგორც წინათაც, ერთგული ვარ ჩემი კლასის, მთელი უნგრელი მშრომელი ხალხისა, რომლის წრიდანაც გამოვედი და რომელსაც სიკვდილამდე ვემსახურები“.

შემდეგ არპად საკაშიჩი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი განსაკუთრებით მადლობელია უნგრეთის მშრომელთა პარტიისა, რომელმაც მისი კანდიდატურა დაასახელა, პარტიისა, რომელიც აშენებს ახალ ცხოვრებას, რომელმაც მთელი დემოკრატიული ძალების დარაზმვის გზით მოიპოვა მთელი ხალხის აღიარება, სიყვარული და ნდობა. „ფაქტებმა,—სთქვა მან, — დაარწმუნეს ჩვენი ხალხი ჩვენი პარტიის პო- [illegible]

დიდი მეზობლის, უნგრელი ხალხის დიდსულოვანი მეგობრის—საბჭოთა კავშირისა და მშვიდობის ფრონტში შემავალი დანარჩენი ქვეყნების უდიდესი ღონისძიებანი, ბოლოს, დამთავრდება სრული გამარჯვებით და შექმნის ხანგრძლივი მშვიდობის შესაძლებლობას მთელ მსოფლიოში“.

შემდეგ საკაშიჩმა აღნიშნა, რომ იმპერიალიზმს, მიუხედავად ძლიერი სურვილისა, არ შეუძლია სძლიოს სიმართლის ძალას, რომლის დროშის ქვეშაც ამჟამად ყველა ხალხი იკრიბება, და სთქვა: „ამ სიმართლეს მთელი ძალებით იცავენ ამჟამად საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ჩვენს რიგებში რომ სუსტი რგოლები არ იქნეს, მთელი ჩვენი ძალები უნდა მივმართოთ ბრძოლისაკენ ჩვენი საუკეთესო მომავლისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის, და ულმობლად გავუსწორდეთ გამცემლებს—იმპერიალიზმის აგენტებს. ამისათვის ჩვენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბანაკის გვერდით [illegible]

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ დაიწყო მთელი ბერლინის მცხოვრებთა მომარაგება სურსათით

ბერლინი, 3 აგვისტო. (საკდესი). 1 აგვისტოს საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ დაიწყო მთელი ბერლინის მცხოვრებთა მომარაგება კვების პროდუქტებით. საბჭოთა სექტორის ყველა მაღაზია უზრუნველყოფილია საკმაო პროდუქტებით, რომელთა მიღებაც ბარათებით შეუძლიათ ბერლინის ყველა სექტორის მცხოვრებლებს.

ბერლინის დასავლეთ სექტორებში სასურსათო მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. დპდ-ის სააგენტოს უკანასკნელი ცნობის თანახმად, ქვანახშირისა და ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო დასავლეთ სექტორებში მუშაობა შესწყვიტა 300 პურსაცხობმა.

ბულგარეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შემუშავება

სოფია, 3 აგვისტო. (საკდესი). მიწათმოქმედების სამინისტროში შესდგა სამაზრო სახალხო საბჭოების, სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საყოველთაო სამიწათმოქმედო პროფესიული კავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა და მოიწონა ბულგარეთის სოფლის მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ზოგადი მონახაზები.

1949-1953 წლებში ბულგარეთში შეიქმნება 150 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელთაც ექნებათ ტრაქტორები, ავტომობილები, სალეწი, სამკალი მანქანები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ხუთწლედის ბოლოს ბულგარეთში ააგებენ 18 დიდ და მცირე წყალსაცავს, რომლებიც მნიშვნელოვნად გააძლიერებენ გლეხებს გვალვის წინააღმდეგ ბრძოლას და ხელს შეუწყობენ მოსავლიანობის გადიდებას. ახალი გეგმა ითვალისწინებს შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობათა შემდგომ განვითარებას. ამჟამად ასეთი მეურნეობანი ამუშავებენ გლეხთა კუთვნილი მიწის საერთო რაოდენობის 4 პროცენტს. პირველი ხუთწლედის ბოლოს შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობანი დაამუშავებენ მთელი მიწის ფართობის 50 პროცენტს.

პაქისტინის ამბები

[illegible]

[illegible]

[illegible] ტირაჟი 110.000 [illegible]